

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

№31

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ლია სალაყაიას გახსენება

ქართველი ეთნომუსიკოლოგები
ნინო კალანდაძე

ერთი ახალი ანსამბლი
„მარგალიტი“

ბათუმმა გიორგი გარაყანიძის სახელობის ხალხური და
სასულიერო მუსიკის XVI საერთაშორისო ფესტივალს
უმასპინძლა

ერთი უცხოური ანსამბლი
სუიტი - ქალთა ანსამბლი ლატვიიდან

ერთი ეთნოგრაფიული ანსამბლი
ანსამბლი „ელესა“ აჭარიდან

ერთი ახალი გამოცემა
ზაქარია ფალიაშვილი
„ქართული საგალობლები. იოანე ოქროპირის წირვის წესი“

ქართული გალობის მოამაგეები
ძმები კარბელაშვილები

ეთნოგრაფიული წერილები
აჭარული ცეკვები

აღმოსავლური საკრავები საქართველოში

ერთი ტრადიციული რიტუალი
თანლილობის დღესასწაული სვანეთში

სვანური სიმღერა „დიდებათა“

თბილისი, დეკემბერი, 2021

ახალი ამბები

**საქართველოს ეთნომუსიკალური
ცხოვრება**

(ივლისი-დეკემბერი, 2021)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ ორგანიზებული ფესტივალის, „ხალხური საღამოების“ ფარგლებში, ფოლკლორულმა ანსამბლებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კონცერტები გამართეს, კერძოდ,

- 3.07.2021 - ანსამბლმა „ჩვენებურებმა“ - ონში;
- 11.07.2021 - ანსამბლმა „ანჩისხატმა“ - გორის რაიონის სოფელ ნიქოზში;
- 17.07.2021 - ანსამბლმა „დიდგორმა“ - ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთში;
- 18.07.2021 - ანსამბლმა „ანჩისხატმა“ - გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში;
- 18.07.2021 - ანსამბლმა „დიდგორმა“ - ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში;
- 19.07.2021 - გურულმა საოჯახო ანსამბლებმა - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში;
- 20.07.2021 - თბილისურმა საოჯახო ანსამბლებმა - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში;
- 21.07.2021 - ანსამბლებმა „ოდოიამ“ და „ნადურმა“ - წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეშში;
- 22.07.2021 - ანსამბლებმა „მუსიკელმა“ და „ამალლებამ“ - ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში;
- 24.07.2021 - ანსამბლებმა „პატარა კახმა“ და „ძირიანმა“ - თელავის რაიონის სოფელ ართანაში;
- 25.07.2021 - ანსამბლმა „სახიობამ“ - წალკაში;
- 29.07.2021 - ანსამბლებმა „ამალლებამ“ და „მუსიკელმა“ - სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში;
- 2.08.2021 - ანსამბლებმა „ოდოიამ“ და „ნადურმა“ - ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში მდებარე ეთნო-სოფელში „სისატურა“;

- 3.08.2021 - ანსამბლმა „სახიობამ“ - აბასთუმანში;
- 10.08.2021 - ანსამბლმა „გორდამ“ და თურმანიძეების ოჯახმა - ქედის რაიონის სოფელ მერისში;
- 23.10.2021 - ანსამბლმა „ადილეიმ“ - ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურებში;
- 24.10.2021 - ანსამბლებმა „ადილეიმ“ და „შემოქმედმა“ - ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში;
- 29.10.2021 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში „ხალხური საღამოების“ დასკვნითი კონცერტი გაიმართა.
- 16-18.07.2021; 23-25.07.2021 - ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ ფესტივალი „არტგენი“ გაიმართა.
- 24.07.2021-22.11.2021 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით, საოჯახო ანსამბლების კონკურსი ჩატარდა.
- 31.07.2021 - პანტიანის ტბაზე ფესტივალი „არტგენის“ დასკვნითი კონცერტი გაიმართა.
- 4-6.11.2021 - ქალაქ ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVI საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა.
- 4-11.11.2021 - თბილისის საგუნდო მუსიკის XI საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა.
- 4.11.2021 - ეთნომუსიკოლოგი ბაია ჟუჟუნაძე მოხსენებით წარსდგა ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს (ICTM) ისტორიული წყაროების ჯგუფის XXIII საერთაშორისო კონფერენციაზე.
- 10.11-8.12.2021 - თბილისში რიგით VII „ბაროკო ფესტივალი“ გაიმართა.
- 16.11.2021 - ფონდმა „ქართულმა გალობამ“ არტემ ერქომანიშვილის სახელობის ქართული გალობის შემსრულებელთა და მკვლევართა კუნკურსის 2021 წლის გამარჯვებულები დააჯილდოვა.
- 19-26.12.2021 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში XXIV საერთაშო-

რისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ გაიმართა.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

11.07.2021 - გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, ვაიმარის სამუსიკო უნივერსიტეტის პროფესორმა, მანფრედ ბრიუნდლიმ, ქართველ გიტარისტთან და კომპოზიტორთან, ზაზა მიმინოშვილთან ერთად ფოლკლორის ცენტრის ეზოში გერმანულ-ქართული მუსიკის მასტერკლასი ჩაატარა.

30.07.2021 - ჩოხატაურის კულტურის ცენტრში გაიმართა ეთნომუსიკოლოგ გია ბაღაშვილის ლექცია თემაზე: „ღვინისა და მრავალხმიანობის აკვანი“.

5.11.2021 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ანსამბლ „მარგალიტის“ აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

15.11.2021 - თბილისის ბაროკოს ფესტივალის ფარგლებში ზურაბ წკრიალაშვილმა საჯარო ლექცია ჩაატარა თემაზე: „მრავალხმიანობის ფორმები ქართულ ტრადიციულ სიმღერასა და გალობაში“.

15-17.11.2021 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში აფხაზეთის ანსამბლ „შარათინის“ ქორეოგრაფებმა და მოცეკვავეებმა აფხაზური ცეკვის მასტერკლასები ჩაატარეს.

18.11.2021 - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ანსამბლების „დიდებაისა“ და „ერობას“ აუდიოალბომების პრეზენტაცია გაიმართა.

6.12.2021 - თავისუფალ თეატრში ანსამბლ „ჩვენებურების“ აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

14.12.2021 - ფოლკლორის ცენტრის დარბაზში ანსამბლ „ძირიანის“ აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

15-16.12.2021 - ქალაქ ბუდაპეშტში ნინო ნანიეშვილის მასტერკლასები ჩატარდა.

21.12.2021 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გრიგოლ ჩხიკვაძისა და ვალერიან მაღრაძის საარქივო ფონოჩანაწერების პრეზენტაცია გაიმართა.

23.12.2021 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ფესტივალის „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ ფარგლებში ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და მის მიერ შედგენილი კრებულის, „ქართული საგალობლები - იოანე ოქროპირის წირვის წესი“, მეორე გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები და სხვ.

1.07.2021 - ანსამბლმა „იალონმა“ ბორჯომში სოლო კონცერტი გამართა თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მსმენელებისათვის.

4.07.2021 - ოზურგეთის თეატრში ჯუმბერ დუნდუას 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

13.07.2021 - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში პოეზიისა და მუსიკის საღამო „ხმები და სიტყვები“ გაიმართა.

25.07.2021 - ოზურგეთში ფილიმონ ქორიძის ხსენებისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ფილიმონობა“ გაიმართა.

25.07.2021 - სოფელ ვარდისუბანში ფილიმონობასთან დაკავშირებით კონცერტი გაიმართა.

27.07.2021 - ანსამბლმა „სახიობამ“ დმანისში სოლო კონცერტი გამართა.

19.09.2021 - ანსამბლმა „იალონმა“ ქალაქური მუსიკის ვიდეო კონცერტი გამართა.

ანსამბლმა „დიდგორმა“ სოლო კონცერტები გამართა სამეგრელოს რაიონებში:

13.10.2021 - ხობი

14.10.2021 - წალენჯიხა

14.10.2021 - ზუგდიდი
 15.10.2021 - ჩხოროწყუ
 16.10.2021 - აბაშა
 16.10.2021 - ფოთი
 17.10.2021 - მარტვილი
 17.10.2021 - სენაკი
 ხალხური სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „ერისიონმა“ კონცერტები გამართა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში:
 14.10.2021 - ოზურგეთი
 16.10.2021 - მესტია
 20.10.2021 - ახალციხე
 22.10.2021 - ქუთაისი
 24.10.2021 - ზუგდიდი
 17.10.2021 - სოფელ წეროვანში ანსამბლ „მარგალიტის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
 2.11.2021 - ანსამბლმა „შავნაბადამ“ რუხის ციხის ტერიტორიაზე სოლო კონცერტი გამართა.
 10.11.2021 - თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ანსამბლ „რიჰოს“ ქორეოგრაფის, კანდიდ მერლანის საიუბილეო საღამო გაიმართა.
 13.11.2021 - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში უსინათლოთა საერთაშორისო დღე აღინიშნა ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.
 29.11.2021 - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ხონისა და კასპის სალოტ-ბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.
 3.12.2021 - ანსამბლმა „იალონმა“ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ქართული ტრადიციული და ქალაქური მუსიკის საღამო გამართა.
 8.12.2021 - თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ცნობილი ქართველი მოცეკვავის, ფრიდონ სულაბერიძის 80 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა.
 10.12.2021 - რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში ანსამბლ „ბასიანის“ დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სოლო კონცერტი გაიმართა.
 15.12.2021 - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში პოლონეთის დელეგაციის პატივსაცემად კონცერტი გაიმართა.

16.12.2021 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შალვა ასლანიშვილის 125 და მანანა ანდრიაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ონლაინ კონცერტი გაიმართა.
 17-18.12.2021 - თბილისის საკონცერტო დარბაზში ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტები გაიმართა.
 20.12.2021 - ვასო აბაშიძის სახელობის თეატრში ჩატარდა ხალხური პოეზიის საღამო „ლექსო, არ დაიკარგები“.
 23.12.2021 - ვახტანგ სალარიძის სახელობის საკონცერტო დარბაზში ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტის, ზურაბ ბაკურაძის ხსოვნის საღამო გამართა.
 25.12.2021 - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი გაიმართა, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის აღსაყდრებიდან 44-ე წლისთავს მიეძღვნა.
 26-28.12.2021 - შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „აფხაზეთმა“ ახალი პროგრამის, „ქორეონიკონის“ პრემიერა წარმოადგინა.

ექსპედიციები

28.07-11.08.2021 - ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლები ექსპედიციით იმყოფებოდნენ ზემო სვანეთში.
 3-6.09.2021 - ანსამბლ „იალონის“ წევრები ექსპედიციით იმყოფებოდნენ ზემო სვანეთში.
 10-12.10-2021 - ფოლკლორის ცენტრის თანამშრომლები იმყოფებოდნენ ქვემო სვანეთში.
 გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის სტუდენტი, მარიამ დუმბაძე ექსპედიციით იმყოფებოდა ოზურგეთის რაიონის სოფლებში:
 1.08.2021 - ოზურგეთი
 2.08.2021 - მაკვანეთი
 8.08.2021; 12.08.2021 - ცხემლისხიდი

23.09.2021 - ლიხაური
ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის მუსიკალური მიმართულების ხელმძღვანელი, მანია გელაშვილი ექსპედიციებით იმყოფებოდა:

- 1.08.2021 - ხაშურში
- 4.09.2021 - ზესტაფონში
- 28.09.2021 - ლანჩხუთში
- 6.10.2021 - ჭანეთში
- 24.11.2021 - შემოქმედში

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის სტუდენტი, ლიკა ლიპარტელიანი ექსპედიციით იმყოფებოდა ქვემო და ზემო სვანეთის სოფლებში:

- 24.07.2021; 28.07.2021 - ლენტეხი
- 25-26.07.2021 - ხელედი
- 05.08.2021 - რცხმელური
- 06.08.2021 - სასაში
- 07.08.2021 - ჟახუნდერი
- 13.08.2021; 15.08.2021 - ლენტეხი
- 21-25.08.2021 - უშგული
- 26.08.2021 - ლატალი.

გასტროლები

3-9.07.2021 - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ანსამბლი „ამაღლება“ საგასტროლოდ იმყოფებოდა პოლონეთის ქალაქ ლეჟაისკში.

11-19.08.2021 - ანსამბლმა „ადილეიმ“ ევროპული საკონცერტო ტურნეს ფარგლებში, სოლო კონცერტები გამართა: ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში, იტალიის ქალაქებში ლანგირანოსა და გორიციაში.

22.08.2021 - საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ მონაწილეობა მიიღო შვეიცარიის ქალაქ სიონში გამართულ საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალში.

2-31.10.2021 - ანსამბლი „რუსთავი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა უკრაინაში.


გამოცემები

აუდიოალბომები ჩაწერეს და გამოსცეს ანსამბლებმა:

„იალონმა“ - ქალაქური სიმღერების ალბომი



„მარგალიტმა“ - პირველი ალბომი



ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ანსამბლებმა

„ერობამ“ და „დიდებაიმ“ – პირველი ალბომები



„ჩვენებურებმა“ – 20 წლის საიუბილეო ალბომი



„პირიანმა“ – 10 წლის საიუბილეო ალბომი



მანანა ანდრიაძის წიგნი „საგალობელთა ჟანრები და ნევმირების ტრადიცია XIX საუკუნის ქართული ხელნაწერების მიხედვით“



ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბინულმა“- პირველი ალბომი





თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ და საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ერთობლივად გამოსცეს

ზაქარია ფალიაშვილის „ქართული საგალობლები - იოანე ოქროპირის წირვის წესი“ (მეორე, გაფართოებული გამოცემა)

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ გამოსცა:

„ვალერიან მალრადის საექსპედიციო აუდიოჩანაწერები მესხეთიდან“



გრიგოლ ჩხიკვაძის „ქართული ტრადიციული მუსიკის საექსპედიციო ფონოჩანაწერები“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოსცა

„ფოლკლორული აუდიოჩანაწერები - რადიო აჭარის არქივი“



**ფონდმა „ქართულმა გალობამ“
გამოსცა
ლექსუმური ხალხური მუსიკის
სანოტო კრებული**




**თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ,
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტმა, გურჯაანის
მუნიციპალიტეტმა
გამოსცა მონოგრაფიული ნაშრომი
„ლევან მულაშვილი“**



**საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო
ცენტრმა გამოსცა:
ქართული გალობის ანთოლოგიის XVIII-XXI
ტომები**




**„გიორგი სვანიძე -
ქართლური ხალხური სიმღერები“**



**პრაქტიკული გალობის ორტომეული სახელ-
წოდებით „საგალობლები“, რომელშიც თავმო-
ყრილია დღევანდელი საღვთისმსახურო პრაქ-
ტიკისთვის აუცილებელი საგალობლები, ამო-
კრებილი ქართული გალობის ანთოლოგიის I,
V, XII-XXI ტომებიდან**



**სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ გამოსცა
გურული სიმღერების სანოტო კრებული:
„ქართული ხალხური სიმღერები. გურია.
ვლადიმერ ბერძენიშვილის გუნდის
ჩანაწერების მიხედვით (1935-37 წლები)“**



მომზადდა სოფიკო კოტრიკაძემ

ლია სალაყაიას გახსენება

2021 წელს საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ, საეკლესიო, სამგალობლო წრემ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ყველასთვის საყვარელი ადამიანი, ლოტბარი ლია სალაყაია, რომელსაც ყველა ლია მასწავლებელს ეძახდა. პროფესიით მუსიკოსი, გუნდის დირიჟორი, იგი ათწლეულების მანძილზე თავდაუზოგავად შრომობდა ქართული გალობის გავრცელებისათვის. გთავაზობთ თამარ თოლორდავას მოგონებას ღვაწლმოსილ ლოტბარზე.

ლია სალაყაია XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გავიცანი. ეს ის პერიოდი, როდესაც საქართველოში ძალას იკრებს ეროვნული მოძრაობა და ამასთან ერთად ყველაფერი ეროვნული უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდს ემთხვევა ქართული, ტრადიციული გალობის გამოღვიძებაც. ანჩისხატის და ჯვარის მამის ტაძრებში ცოცხლდება საუკუნის წინ სანოტო ჩანაწერებში მიძინებული ჰანგები.



ლია სალაყაია

ლია სალაყაია, რომელიც ამ დროს უკვე 10-11-წლიანი გამოცდილების მაგალობელი გახლდათ, აბსოლუტური მზაობით და თავგანწირვით ჩაერთო ქართული გალობის აღორძინების საქმეში და სიცოცხლის ბოლომდე, ფაქტობრივად, ხუთი ათწლეულის მანძილზე, დაუღალავად, მუხლჩაუხრელად ემსახურა მას. ის ასწავლიდა ყველა მსურველს, დიდსა და პატარას, ქალსა და ვაჟს, მუსიკოსსა და მოყვარულს, ავადმყოფსა და ჯანმრთელს, პატიმრებსაც კი. მიდიოდა ყველგან და ყველასთან სიკეთის, სიყვარულის, ნუგეშის შეთავაზებით. გალობა კი იყო ერთ-ერთი საშუალება, რომლითაც პოულობდა ყველა ადამიანის გულთან მისასვლელ გზას. მისი თაოსნობით დაარსდა ბავშვებისთვის ქართული გალობის შემსწავლელი ჯგუფები, რომლებიც დროთა განმავლობაში სიონის სამრევლო სკოლად ჩამოყალიბდა. არ არსებობს საქართველოს მთასა თუ ბარში კუთხე, ქალაქი თუ სოფელი, სადაც არ ასწავლიდა გალობას და არ ქადაგებდა სიყვარულს ლია მასწავლებელი. და ამას ნამდვილად ერქვა *მოღვაწეობა*, რადგან ბოლო ათწლეულების განმავლობაში მან ქართველ მაგალობელ-მომღერალთა თაობები აღზარდა. მისი მოსწავლეები აქტიურად საქმიანობენ საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის – სამაჩაბლოში, აფხაზეთსა და ჰერეთში (საინგილოში).

ლია სალაყაიამ უშურველად გაიღო ყველაფერი მატერიალური, რაც კი გააჩნდა, ცხოვრობდა სამრევლო სკოლის შენობაში, მუშაობდა გათენებიდან დაღამებამდე და ბოლომდე ღიმილი არ მოშორებია სახიდან. უზარმაზარი პიროვნული ხიბლი, მახვილი გონება, იუმორის გრძნობა, სიბრძნე, რწმენით გაჯერებული თხრობის მანერა, მართლაც იზიდავდა ადამიანებს, ცვლიდა მათ მსოფლმხედველობას და ღრმა კვალს ტოვებდა მათ ცნობიერებაში. ლიასთან ურთიერთობა იყო ბედნიერება, რომელიც მისი წასვლის შემდეგაც გრძელდება ჩვენში.

2014 წელს ფონდმა „ქართულმა გალობამ“ ლია სალაყაიას ქართული გალობის პოპულარიზებაში შეტანილი წვლილისათვის „ქართული გალობის მოამაგის“ სტატუსი მია-

ნიჭა; 2019 წელს კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ საქართველოში საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის იგი საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა.

პირადად ჩემთვის, დიდი პატივი იყო ლიასთან მეგობრობა, მის გვერდით დგომა, მასთან ერთად ჩემი პატარა წვლილის შეტანა იმ დიდ საქმეში, რასაც ქართული ტრადიციული გალობის სამსახური ჰქვია. როგორც სიცოცხლეში იყო ლია სალაცია მგალობლების უზარმაზარი არმიის შემწე და წინამძღოლი, ასეთად დარჩება მარად - ჩვენს მეოხად და მფარველად.

თამარ თოლორდავა
*მომღერალ-მგალობელი,
სამრევლო სკოლისა და გიორგი
მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო
გალობის უნივერსიტეტის პედაგოგი*

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს
პოსტებიდან, რომლებიც ლია სალაციას
გარდაცვალებას მოჰყვა სოციალურ ქსელებში:

„ლია იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც კეთილგონივრულად შეხვდა კანონიკური გალობის აღდგენის საქმეს და მყისვე დაიწყო ზრუნვა მის გავრცელებაზე. მთელს საქართველოში ავრცელებდა იგი გალობას და თესავდა ყველგან დიდ სიყვარულს“.

მალხაზ ერქვანიძე
ეთნომუსიკოლოგი

...მან ყველას შეაყვარა შუა საუკუნეების საეკლესიო მუსიკა, რომლის აღქმაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, თავიდან ბევრს უჭირდა... იცხოვრა ადამიანებისთვის, იცხოვრა გალობისთვის, ქართული მუსიკისთვის, იცხოვრა ეკლესიისთვის, პატრიარქისთვის, სამშობლოსთვის, სამყაროსთვის, იცხოვრა ღმერთისთვის...“

სვიმონ ჯანგულაშვილი
ეთნომუსიკოლოგი

„ერთი წინადადებით შემიძლია მხოლოდ ის ვთქვა, რომ ის იყო მოსიარულე წმინდანი. ისე, როგორც ლია სალაცია ქართულ გალობას, ახალგაზრდობას, სამშობლოს და ქრისტიანობას ემსახურა, არც კი ვიცი, ჩვენს ეპოქაში მოიძებნებიან თუ არა მსგავსნი... ლია სალაცია სამოთხის სამოთხეში დაიმკვიდრებს სასუფეველს და ახლა მას ვავედრებ ჩვენს სულებსა და ჩვენს სამშობლოს“.

ნიკოლოზ რაჭველი
კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი

„ნენას ვეძახდი (გურულად). ერთხელ უწმინდესმა ტრაპეზზე მიგვიწვია, გვერდით ვეჯექი. პატრიარქმა სადღეგრძელო ბრძანა: „არიან ადამიანები, ვინც ღმერთს ემსახურებიან, არიან ადამიანები, ვინც ერს ემსახურებიან და არიან ადამიანები, ვინც სამშობლოს ემსახურებიან. მინდა დავლოცო ქალბატონი ლია, რომელიც ამას სამივეს ადასრულებს, ის ემსახურება ღმერთს, ერსა და სამშობლოს!“ სუნთქვა შემეკრა, მაშინ მივხვდი, როგორი დიდი იყო ჩემი ნენა! მას თვალებში ცრემლი ჩაუდგა და უწმინდესს ხელზე ეამბორა“.

ვახტანგ ვაშაყმაძე
ანსამბლ „შემოქმედის“ წევრი

ნინო კალანდაძე-მახარაძე

2021 წლის 6 სექტემბერს ჩვენგან წავიდა ქართველი ეთნომუსიკოლოგი, ნინო კალანდაძე, ქართული ხალხური მუსიკის ყველა დროის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი, რომლის სამეცნიერო, პედაგოგიური, საშემსრულებლო, საზოგადოებრივი ღვაწლი სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ კულტურაში, როგორც მაღალი ღირებულების საუნჯე.



ნინო კალანდაძე-მახარაძე

ნინო კალანდაძე-მახარაძე დაიბადა ლანჩხუთის რაიონში, 1957 წლის 12 ივლისს. დაამთავრა თბილისის პირველი სამუსიკო სასწავლებელი 1976 წელს, სადაც სერიოზულად დაინტერესდა ქართული ხალხური მუსიკით, ცნობილ ფოლკლორისტ და პედაგოგ მინდია ჟორდანიასთან ურთიერთობისას.

1983 წელს ნინომ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, როგორც მუსიკოს-ფოლკლორისტმა. აქ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის გამგე ევსევი (კუკური) ჭოხონელიძე გახლდათ. ამ ამაგს ნინომ ბატონ კუკურის მისდამი მიძღვნილ წლებანდელ საიუბილეო გამოცემით უპასუხა,

სადაც იგი, მისთვის ჩვეულ, რედაქტორის რანგში მოგვევლინა.

კონსერვატორიაში სწავლის და მისი დამთავრების შემდგომ წლებში ნინო კალანდაძე აქტიურად მონაწილეობდა საველე-შემკრებლობით ექსპედიციებში ედიშერ გარაყანიძესთან, ყველაზე ხშირად - იოსებ ჟორდანიასთან, ასევე - მეგობარ კოლეგებთან ერთად. მოგვიანებით ის უკვე თავად ხელმძღვანელობდა მსგავს ექსპედიციებს - როგორც კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის ექსპერტის, ასევე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიური კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელის სტატუსით.

1986 წელს ნინომ მუშაობა დაიწყო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის მეცნიერ-თანამშრომლად და, ამავე დროს, ქართული ხალხური შემოქმედების სახლის (ახლანდელი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი) მეთოდისტად.

ყოველგვარი სირთულის მიუხედავად, ნინო კალანდაძე თავდაუზოგავად ახმარდა თავის ნიჭსა და ენერგიას ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლასა და პოპულარიზაციას; მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებაში, როგორც სპეციალისტი, მასწავლებელი, ორგანიზატორი, რამაც, საბოლოოდ, განაპირობა მისი პროფესიონალ ეთნომუსიკოლოგად ჩამოყალიბება.

1988 წელს ნინო კალანდაძემ და მისმა მეგობარმა კოლეგებმა ჩამოაყალიბეს ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“, რომელმაც ქართველ ქალთა ტრადიციული ფოლკლორული ნიმუშების გაცოცხლება დაისახა მიზნად და ეს მისია დიდი წარმატებით შეასრულა. აღსანიშნავია, რომ მანამდე ნინო კალანდაძე შალვა მოსიძესთან, კონსერვატორიის ქალთა გუნდში მღეროდა. მისმა გამოცდილებამ დიდი როლი ითამაშა ქართული ფოლკლორული შემსრულებლობის ამ საეტა-

პო წამოწყებაში. „მზეთამზესთან“ ერთად, 35 წლის განმავლობაში, ნინო კალანდაძემ ქალთა სიმღერები საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია, ავსტრია, შვეიცარია, ესპანეთი, ბასკეთი, კორსიკა, სლოვენია, რუსეთი, ბელგია, ფინეთი...) სცენაზე ააჟღერა, სადაც, კონცერტების პარალელურად, საკმაოდ ხშირად, ქართული ხალხური სიმღერის მასტერკლასებსა და ლექციებსაც ატარებდა.

ნინო კალანდაძე, როგორც პროფესორ-მასწავლებელი, სხვადასხვა დროს მუშაობდა ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიაში, კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში (ამჟამად თეატრალური უნივერსიტეტი), გურამ რამიშვილის მე-6 საავტორო სკოლაში პედაგოგად და აქვე ხელმძღვანელობდა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის, „გეორგიკას“ გოგონათა ჯგუფს; იყო საბავშვო სტუდიის „დები ჭოხონელიძეების“ ხალხური სიმღერის პედაგოგი, ქალთა აჭარულ ანსამბლ „აიდიოს“ კონსულტანტი.

გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, ნინო კალანდაძე გახლდათ ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის ფოლკლორის კომპლექსური კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მუსიკის ექსპერტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი (მოდული „ქართული მუსიკა“), ენციკლოპედია „საქართველოს“ კონსულტანტი, საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.



ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მზეთამზე“

2009 წელს ნინო კალანდაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული „ნანა“: ჟანრის, სემანტიკისა და არტიკულაციის საკითხები“, ხოლო 2011 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გახდა. აქ მას მიჰყავდა ქართული ტრადიციული მუსიკის (სიმღერა-დასაკრავი-გალობის) შესახებ 7 სალექციო და პრაქტიკული კურსი, იყო რამდენიმე სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რეგულარულად ატარებდა საჯარო ლექციებს („საბავშვო სამუსიკო საკრავები საქართველოში“, „ილია და მუსიკა“, „მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია“ და სხვა...). საჯარო ლექციებს ნინო ასევე აქტიურად ატარებდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში, სიმღერისა და საკრავების მუზეუმში, კონსერვატორიაში; სტუდენტებისათვის სისტემატურად აწყო და შეხვედრებს ფოლკლორულ ანსამბლებთან; ორგანიზებას უკეთებდა მუსიკალურ ღონისძიებებს (მათ შორის მასშტაბურობით გამოირჩევა კახური სიმღერის ფესტივალი 2014 წელს); ქმნიდა ქართული მუსიკალურ-ხალხური ნიმუშების ელექტრონულ ბაზას, რა მიმართებითაც მას კონსერვატორიაში მუშაობის დიდი გამოცდილებაც გააჩნდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის პარალელურად, ნინო კალანდაძე აგრძელებდა მუ-

შაობას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიის კათედრაზე, როგორ სპეციალისტი - აწესრიგებდა და ანახლებდა ძველ ჩანაწერებს, ახდენდა მათ სისტემატიზაცია-კატალოგიზაციას, მონაწილეობდა სარედაქტორო და საკოორდინაციო საქმიანობაში...



ნინო კალანდაძე და ანზორ ერქომაიშვილი ერთ-ერთ ექსპედიციაში, 2020

ნინო კალანდაძე მონაწილეობდა მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციასა და სიმპოზიუმში, იგი 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის - სანოტო კრებულებისა და წიგნებისა. 2015 წელს მისი მონოგრაფია „Hommo-Polyphonicus – პოლიკარპე ხუბულავა“ კულტურის სამინისტრომ წლის საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომად აღიარა. ასევე დიდია მისი ღვაწლი, როგორც სხვადასხვა წიგნის, სანოტო კრებულის, ჟურნალის, ვებ-გვერდის, აუდიოდისკის რედაქტორისა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოს მხრივ ნინო კალანდაძეს ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში მეტოქე არ ჰყავს.

ნინო დაუზარელად უწვდიდა დახმარების ხელს ყველას, ვისაც სჭირდებოდა მისი, როგორც კონსულტანტის, რედაქტორის, ექსპერტის კომპეტენცია. ამასთან, ნინოსთან მუშაობა, მისი სათნო ხასიათიდან გამომდინარე,

ნარე, ყველასთვის მეტად კომფორტული იყო. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი თანამშრომლობა ანზორ ერქომაიშვილთან. შეიძლება ითქვას, სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში ნინო ბატონი ანზორის მარჯვენა ხელი იყო. სამწუხაროდ, ნინო ვერ მოესწრო მისი რედაქტორობით და ანზორ ერქომაიშვილის თაოსნობით მომზადებული გრანდიოზული პროექტის - ქართული ხალხური მუსიკის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემას.

ნინო კალანდაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო მრავალმხრივი იყო: აკვნის და საძეობო სიმღერები (ამ შინაარსის სანოტო-სამეცნიერო კრებულების სამაგალითო გამოცემები), ზოგადად, ქართველ ქალთა და ბავშვთა მუსიკალური ფოლკლორი, პოეტური და მუსიკალური ტექსტის ურთიერთობის საკითხები, სასიმღერო მეტყველების არტიკულაციური თავისებურებები, სამგლოვიარო თემატიკის ნიმუშები, ქართული ხალხური მუსიკის ეთნოგრაფიული გარემო, ქართველ ლოტბართა მოღვაწეობის ისტორიული მიმოხილვა (რემა შელეგია, ვარლამ სიმონიშვილი, პოლიკარპე ხუბულავა, ძუკუ ლოლუა და სხვა), კავკასიური ხალხური მუსიკა (წიგნი „ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში“) და სხვა.

მაგრამ მთელ იმ ღვაწლს, რომელიც ნინო კალანდაძემ, როგორც ეთნომუსიკოლოგმა, სამშობლოს, ქართული ხალხური მუსიკის, მოსწავლეებისა თუ კოლეგების წინაშე გასწია, ჩრდილავდა მისი ხასიათი და ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი. ნინო კულტურული, ჰუმანური ადამიანის განსახიერება იყო; ვერავინ გაიხსენებს მისგან უხემ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ არც ისე იშვიათად აღმოჩენილა უსამართლოდ დაზარალებულის როლში. იყო უაღრესად მოსიყვარულე და მზრუნველი დედა, შვილი, და, მეუღლე, ბებია. გამორჩეულ გულისხმიერებას იჩენდა ახალგაზრდათა მიმართ, ხოლო ნებისმიერ მის კოლეგას მასთან მუშაობა სიხარულს გვგ-

ვრიდა - მისი დაუზარლობის, სხვისი აზრის მოსმენის და გაგების, დაუღალავი მხარდაჭერის გამო. სწორედ ამიტომ, მისმა წასვლამ მეგობრებსა და თანამშრომლებს დიდი, ამოუვსები სიცარიელე დაგვიტოვა.

ნინო კალანდაძე, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, ერთი ნათელი ფურცელია ქართული მუსიკალური ფოლკლორისა და ეთნომუსიკოლოგიისათვის. არ მომერიდება, და მის ახლობლებსაც არ გაუკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ იგი იყო „ზეცისა მოქალაქე და ქვეყნისა ანგელოზი“.

თამაზ გაბისონია

ეთნომუსიკოლოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ერთი ახალი ანსამბლი

ანსამბლი „მარგალიტი“

2020 წლის 5 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში ქალთა ანსამბლ „მარგალიტი“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია შედგა. პანდემიის თითქმის ორი წლის მანძილზე live ფორმატში გამართული ეს ერთ-ერთი პირველი ღონისძიება გახლდათ და ამდენად, ის სავსე იყო ინტერესითა და ემოციებით... მით უფრო, რომ ანსამბლი „მარგალიტი“ სულ რამდენიმე თვის წინ ჩამოყალიბდა და ეს მისი დებიუტი გახლდათ. უფრო დაწვრილებით ანსამბლის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ მისი ერთ-ერთი წევრი, მარიამ ზარნაძე გვესაუბრება.

ანსამბლი „მარგალიტი“ ჩამოყალიბდა 2020 წელს. 2020 წელი ჩვენს შემოქმედებით მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, ცვლილებების, ახალი მუსიკალური საწყისების სათავეა. ანსამბლის წევრებს ერ-

თად მღერის 9-10 წლიანი გამოცდილება გვაქვს. უცვლელი შემადგენლობით მრავალი წლის განმავლობაში წარმდგარვართ მსმენელის წინაშე. მიზანი უცვლელია - რაც შეიძლება დიდხანს და ხარისხიანად ვემსახუროთ ქართული კულტურისათვის უმნიშვნელოვანეს საქმეს, ახალი სიცოხლე და ხალხის სიყვარული შევძინოთ იმ ძველ მუსიკალურ თუ სამგალობლო ნიმუშებს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მივიწყებულია და სცენა ელოდება მათ. გვსურს, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა შეიყვაროს, დააფასოს და გააზიაროს ქართული შემოქმედება.



ანსამბლი „მარგალიტი“

ვფიქრობთ, ანსამბლის სახელწოდება „მარგალიტი“ სრულყოფილად აღწერს ჩვენს განცდებს, დამოკიდებულებას, ურთიერთობას იმ ნიმუშებთან, რომლებზეც დღეების, კვირების განმავლობაში ვმუშაობთ მათ აღსადგენად, დედანთან მიახლოებული ვარიანტის შესაქმნელად. გასაოცარი და შეუფასებელია ჩვენთვის ეს ყველაფერი, თვითნაბადი მარგალიტებია ჩვენი მუსიკალური ნიმუშები, ჩვენი წინაპრებისგან, მათი ფიქრით, განცდით, დროის თუ გარემოების ზეგავლენით შექმნილი, მრავალი ემოციის, სევდისა თუ სიხარულის მატარებელი. ჩვენთვის „მარგალიტი“ არის ეპოქები, თაობათა ცვლა, ისტორია, პიროვნული თავისუფლებისა და სიღრმის სინთეზი.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ ნათია ბედენაშვილი. უპირველესად, ნათია არის გუნდის ერთიანობის, სიმტკიცის, აზრის თავისუფლების სიმბოლო. ანსამბლის ჩამოყალიბების პროცესში, მთავარი კითხვა და საფიქრალი სწორედ ხელმძღვანელის არჩევა და ერთი ჩვენგანისათვის ამ სტატუსის მინიჭება იყო. ნათია მთელი გუნდისთვის სამართლიანობის და პროფესიონალიზმის მაგალითია. მას აქვს ის უნარები და ცოდნა, რომლის მეშვეობითაც ანსამბლი საშემსრულებლო ტექნიკის კიდევ უფრო მაღალ საფერხურზე ავიდა, ანსამბლის თითოეული წევრი გრძნობს თანაბარუფლებიანობას და მნიშვნელოვნებას, რომ თითოეული მათგანის ერთობა ქმნის ანსამბლს. სამხატვრო ხელმძღვანელის ძირითად მოვალეობას ანსამბლის რეპერტუარის შერჩევა, არანჟირება, სიმღერების გადანაწილება და საჭიროების შემთხვევაში თითოეული წევრისათვის მუსიკალური ცოდნის გაზიარება წარმოადგენს.



ანსამბლ „მარგალიტი“ პირველი აუდიოალბომი

აღსანიშნავია, რომ ანსამბლი ასაკობრივად განსხვავებულ წევრებს აერთიანებს. ყველაზე პატარა წევრები 22-23 წლისები არიან, ხოლო უფროსი თაობა 36-37 წლისაა. მათ უმეტესობას მუსიკალური განათლება აქვს. ასაკობრივი და პროფესიული განსხვავება განაპირობებს მნიშვნელოვანი საკითხებისადმი მრავალმხრივ მიდგომას, განსჯას, გადაწყვეტას. ჩვენს ანსამბლს ორგანიზაციის სტრუქტურა აქვს, გვაქვს დეპარტამენტები, რომლებშიც ან-

სამბლის წევრები არიან გადანაწილებული და ყველას აქვს მისი პირადი პასუხისმგებლობა ანსამბლის მიმართ. ამ ყველაფრის იდეალიზაციით საუკეთესოდ ვუწყობთ ფეხს თანამედროვე ტენდენციებს, ვცდილობთ მაქსიმალურად საინტერესო, უცხო ვიზუალითა თუ რეპერტუარით წარვდგეთ მსმენელის წინაშე და ჩავერთოთ ყველანაირ საინტერესო აქტივობაში, რაც ისევ და ისევ ჩვენი კულტურის მაღალ დონეზე წარმოჩენას უწყობს ხელს.

ანსამბლის რეპერტუარია ქალაქური და გლეხური ფოლკლორი, საკომპოზიტორო ნაწარმოებები, საგალობლები. ანსამბლის მუსიკალური განათლების, საშემსრულებლო ტექნიკის და მზაობის გათვალისწინებით, ვგეგმავთ სხვა საინტერესო ექსპერიმენტებსაც. ფოლკლორის რეპერტუარს ძირითადად საარქივო ჩანაწერებიდან ვარჩევთ, საგალობლებსთვის არსებობს სანოტო კრებულები, საკომპოზიტორო ნაწარმოებებს, ვცდილობთ, საკუთარი ელფერი შევძინოთ.

გალობა ჩვენთვის ერთ-ერთი ძვირფასი და მნიშვნელოვანი სფეროა. დიდი ხანი არ არის რაც ტაძრებში აღდგა კანონიკურ საგალობელთა შესრულების ტრადიცია. მოგეხსენებათ, ჩვენმა დიდმა მგალობლებმა ძალიან დიდი მასალა დაგვიტოვეს, რომელთა ნაწილი ნოტირებულია და ნაწილი ჯერ კიდევ ელოდება დღის შუქს. ჩვენს პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია საგალობლების გაჟღერების, პოპულარიზაციის საქმე. აუცილებელია გალობა ტაძრებში აღდგეს იმ სახით და სულისკვეთებით, როგორც იმ შეიქმნა. ანსამბლის წევრების ნაწილი ინტენსიურად გალობს ტაძარში. ამ სფეროში მთელი ანსამბლის აქტივობისთვის, გვსურს ტრადიციად ვაქციოთ გარკვეული პერიოდულობით საეკლესიო მსახურებაზე ერთობლივი ანტიფონური გალობა.

ანსამბლის თითოეულ წევრს ძალიან უყვარს ქართული სიმღერა და მუსიკა, თავის დროზე, როდესაც პირველ ნაბიჯებს ვდგამდით ამ სფეროში, სრულიად გააზრებულად

ავირჩიეთ ეს მიმართულება. ახლაც, ჩვენ უცვლელად განვაგრძობთ ჩვენს შემოქმედებით საქმიანობას, მუსიკალური მიმართულება იგივეა, მაგრამ საგრძნობლად გაიზარდა თითოეულ ნიმუშთან მიდგომის, გათავისების, შესრულების ხერხები, რაც აისახება კიდევ ჩვენს მიერ შესრულებულ თითოეულ სიმღერაზე.

აუცილებლად უნდა შევხებო პანდემიის თემას, რომელმაც ძალიან რთული პირობების და გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. ანსამბლს იმაზე დიდი რესურსი, იდეები, გეგმები აქვს, ვიდრე ეს ჩანს და ვანხორციელებთ. მიუხედავად ამისა, საპატრიარქოს საეკლესიო გალობის სასწავლო-კვლევითი ცენტრის დახმარებით, შევძელით ჩაგვეწერა პირველი CD ალბომი. ასევე, გავიმარჯვებთ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ორ კონკურსში, რომელთა ფარგლებში შევიძინებთ საკრავები და სოლო კონცერტით ვესტუმრებთ წეროვნის დევილთა დასახლებას. ფოლკლორის ცენტრის დახმარებით კი, შევძელით მსმენელის წინაშე ოფიციალურად წარვდგარიყავით, როგორც ანსამბლი „მარგალიტი“ და ჩავატარებთ ჩვენი პირველი CD ალბომის პრეზენტაციას. ეს იყო დაუფუჭყარი მოვლენა.

წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ, პირველად ავედით სცენაზე ცოცხალი აუდიტორიის წინაშე. იყო ბუნებრივი ღელვა, სცენის შიში, იმის შიში, თუ როგორ მიგვიღებდა მსმენელი, რამდენად სწორად მივიტანდით ჩვენს სათქმელს და სამღერას მსმენელამდე, როგორ შეაფასებდნენ პროფესიონალები რეპერტურს და შესრულების ხარისხს.

საღამოზე შევასრულეთ ქალაქური ფოლკლორის, ქალაქური და საკომპოზიტორო ნაწარმოებთა ნიმუშები. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, ჩვენ თავად არ გვჯეროდა იმის, რაც იმ წუთებში დარბაზსა თუ ონლაინ სივრცეში ხდებოდა. დაუჯერებელი და დაუვიწყარი ემოციები სუფევდა იმ წუთას დარბაზში, ხალხი ტიროდა სიხარულით, სიყვარულით, მონატრებით... ონლაინ გაზიარებულმა კონცერტმა თითქმის 4000 ნახვა დააგროვა, რაც რეკორდული მაჩვენებელია ჩვენი სფეროსთვის. ჩვენთვის უზომოდ სასიხარულო და საპასუხისმგებლოა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელის, ბატონი გიორგი დონაძის დადებითი შეფასებები და მზაობა, რომ ანმსაბლს მათი მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება.

ქართული მუსიკა და გალობა ამოუწურავია, სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს. ამ პერიოდში საშობაო რეპერტუარზე ვმუშაობთ და ვფიქრობთ, შობა-ახალი წლის დღეებს კიდევ უფრო გავულამაზებთ ჩვენს საქართველოს. გრძელვადიან გეგმებს რაც შეეხება, გვსურს, რაც შეიძლება ფართო საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია, წვდომა, პროფესიული და სამოყვარულო შეხება ჩვენი კულტურის მარგალიტებთან; გავაცოცხლოთ სიმღერები იმვითი ინსტრუმენტების თანხლებით და აღვადგინოთ მივიწყებული საფერხულო ნიმუშები.

ბათუმმა ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVI საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა

2021 წლის 4-6 ნოემბერს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVI საერთაშორისო ფესტივალი და სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.


ფესტივალი 2005 წელს დაარსდა, 2012 წლიდან კი ეთნომუსიკოლოგის, ეთნომუსიკის თეატრ „მთიების“ ხელმძღვანელის, გიორგი გარაყანიძის სახელს ატარებს. ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება და მის მთავარ მიზანს ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია წარმოადგენს.

ფესტივალი სამ დღეს მიმდინარეობდა და, ტრადიციულად, სამეცნიერო სესიებსა და კონცერტებს მოიცავდა. 5 და 6 ნოემბერს, დღისით, გაიმართა ხალხური და საეკლესიო მუსიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, ხოლო სამივე საღამო დაეთმო ხალხურ და საეკლესიო მუსიკის კონცერტებს.

ბათუმის XV ფესტივალი შარშან ონლაინ, Zoom-ის პლატფორმაზე გაიმართა, წელს კი მის მონაწილეებს უშუალო შეხვედრისა და ფესტივალის Live ფორმატში ჩატარების საშუალება მიეცათ, რასაკვირველია ეპიდემიოლოგიისათვის დამახასიათებელი რეგულაციების სრული დაცვით.

სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს: აბდულა აკატმა, გამზე თანრივერმიშმა, უგურ ასლანმა და სონდულ კარახასანოლლუმ თურქეთიდან, ანიტა ვოჟინოვიჩმა პოლონეთიდან, ზანე სმიტმა ლატვიიდან, ლორეტა სუნგაილენემ ლიეტუვადან. ასევე, ქართველმა ეთნომუსიკოლოგებმა: თამაზ გაბისონიამ, თამარ ჩხეიძემ, მონაზონმა ნინო სამხარაძემ, ეკატერინე ონიანმა, ნანა ვალიშვილმა, თეა კასაბურმა, სოფიკო კოტრიკაძემ

და მათა გელაშვილმა. კონფერენციის პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესო თემებით იყო დატვირთული.



ფესტივალის აფიშა

ფესტივალის ფარგლებში, ტრადიციულად, ფილმების ჩვენებაც გაიმართა. ნაჩვენები იყო: „წინაპართა ხმები“ (შემოქმედებითი ჯგუფი: სუზან ტომპსონი, ჰოლი ტეილორი, ფილ ტომპსონი, მაგდა კველიშვილი, თამარ ვეფხვაძე), „ბატონები“ (რეჟისორი ანა ჯაფარიძე) და „მისტერიები“ (რეჟისორი დევიდ ლინქს ფოცხიშვილი).

ფესტივალის სამივე საღამო ქართულ და უცხოურ ტრადიციულ ანსამბლთა კონცერტებს დაეთმო. აღსანიშნავია, რომ ქართული ანსამბლებიდან პრიორიტეტი საქართველოს რეგიონულ კოლექტივებს მიენიჭა. მათ შორის იყო: ანსამბლი „მუსიკელი“ სენაკიდან, ტრიო „შემოქმედი“ და ანდლულაძეების საოჯახო ანსამბლი ოზურგეთიდან, ანსამბლი „ჭონა“ ქუთაისიდან. უცხოური ფოლკლორული ჯგუფებიდან აღსანიშნავია ფოლკლორული ანსამბლი Suitu dudenieki un Suitu sievas ლატვიიდან და ტელშის დრამატული თეატრი The Rosary of Colorful Buttons ლიეტუვიდან.



ბათუმის ფესტივალის მონაწილეები

ბათუმის ყოველწლიური ფესტივალი უკვე არაერთი ქართველი თუ უცხოელი მუსიკოლოგისა და შემსრულებლის ცხოვრების ნაწილად იქცა. მასში მონაწილეობა ერთდროულად საინტერესო, სასარგებლო და სასიამოვნოა. ეს პირველ რიგში, ამ ფესტივალის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ხათუნა მანაგაძის დამსახურებაა, რომელიც, ბათუმის მერიის მხარდაჭერით, ყოველწლიურად, მრავალი სირთულის მიუხედავად, ახერხებს ამ ღონისძიების მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარებას.

მაია გელაშვილი

ეთნომუსიკოლოგი, ფესტივალის მონაწილე

სუიტის კულტურული სივრცე ლატვიაში და სუიტი ქალების ბურდონით მღერა

სუიტი არის პატარა კათოლიკური თემი (დაახლოებით 2500 მოსახლე) ლატვიის დასავლეთ, ლუთერანულ ნაწილში, რომელსაც, რელიგიური განსხვავებულობის გამო, ზოგჯერ კათოლიკურ კუნძულსაც უწოდებენ. ის ლოკალიზებულია სამ სოფელში – ალსუნგა, იურკალნე და გუდენიეკი. რელიგიურმა იზოლაციამ, საუკუნეების მანძილზე ამ თემის გამოკვეთილი იდენტობა განაპირობა. სუიტის კულტურის ჩამოყალიბება სათავეს მე-17 საუკუნიდან იღებს.

სუიტის კულტურული სივრცე მრავალი საინტერესო თავისებურებით ხასიათდება. მათ შორისაა სუიტი ქალების ბურდონული ბანით სიმღერა, საქორწილო ტრადიციები, ფერადი ტრადიციული სამოსი, სუიტის სამეტყველო ენა, ადგილობრივი სამზარეულო, რელიგიური ტრადიციები, წლიური ციკლის დღესასწაულები და სხვა. ამ თემში ჩაწერილია მრავალრიცხოვანი ხალხური სიმღერები, ცეკვები და საკრავიერი მელოდიები.

აქ ჯერ კიდევ ცოცხალია დიდი ოჯახების ძველებური ფორმები, სადაც თაობიდან თაობას გადაეცემა ტრადიციები. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ესაა სუიტის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი დასაყრდენი. სუიტის ხალხი ძალიან ამაყობს გამოკვეთილი იდენტობითა და თვითმყოფადობით.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან სუიტის კულტურული სივრცე შესულია იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში, რომელიც სასწრაფო დაცვას საჭიროებს.



სუიტის მსვლელობა რელიგიური დღესასწაულის დროს

ისტორიულად, სუიტის თემში სიმღერა ქალების სფერო უფრო იყო. მამაკაცებიც მღეროდნენ, ძირითადად, რამდენიმე კუპლეტიან გრძელ სიმღერებს, როგორც ხალხურს, ისე - სავტოროს, თუმცა, არა - გაბმული ბანით და არა - ნებისმიერ თემაზე, იმპროვიზაციულად, როგორც ქალები. ეს უკანასკნელნი ქმნიდნენ სიმღერებს ადგილზე, შესრულების მომენტში, არსებული სიტუაციების მიხედვით.

გამოსაჯავრებელ ლექსებზე შექმნილ ასეთ რიტუალურ სიმღერას ეწოდება *apdzie-dāšanās* (ერთმანეთის წინააღმდეგ სიმღერა). სუიტის რეგიონში ჩაწერილია ბურდონზე შესრულებული ამგვარი სიმღერების უამრავი ვარიანტი. სუიტის თემში სულ 52 ათასზე მეტი სიმღერა (ვარიანტების ჩათვლით) არის ჩაწერილი!

ქალთა ბურდონულ სიმღერას ჩვეულებრივ რამდენიმე ქალი ასრულებს. პირველი (წამყვანი) მომღერალი მარტო იწყებს პირველი ორი სტრიქონის მღერას (უფრო სწორად კითხვას/დეკლამაციას). შემდეგ, ის ჩერდება და მეორე მომღერალი იმეორებს იგივე ტექსტს იმავე ან განსხვავებულ მელოდიაზე, ხოლო ჯგუფის დანარჩენი წევრები აძლევენ ბანს - ეეეეეეოოოო (ზოგ სიმღერაში - მხოლოდ ეეეეე). კუპლეტს ყველა მომღერალი ამთავრებს ერთ ნოტზე (უფრო რთული, მრავალხმიანი ვარიანტების გარდა). მთელი ეს პროცესი თავიდან იწყება

შემდეგი ორი სტრიქონით და ასე გრძელდება ხანგრძლივად.

კარგი წამყვანი მომღერლები თემში დიდი პატივით სარგებლობდნენ და მათ ხშირად იწვევდნენ საქორწილო წვეულებებზე, თუნდაც ახალდაქორწინებულთა ნათესავები არ ყოფილიყვნენ.

დეკლამაციით მღერისას მთავარი არის სიტყვა. სუიტების აზრით, არ არსებობს ტექსტი, რომელიც არ იმღერება. დეკლამაციით სიმღერის მელოდია ანუ, როგორც სუიტები უწოდებენ, ბურდონით სიმღერა, შედგება ოთხი ან, იშვიათად, ხუთი ბგერისგან; გარდა ამისა, ეს ოთხი/ხუთი ბგერა არის მხოლოდ საწყისი მასალა, რომელზეც მღერდება სიტყვიერი ტექსტი. შემდგომში მელოდია მიჰყვება სიტყვებს და ხაზს უსვამს ტექსტის მთავარ იდეას. სწორედ ამიტომ, სიმღერის დეკლამაციური მელოდიისთვის, რომელიც მხოლოდ ნოტებით არის ჩაწერილი, ძნელია შესაბამისი ტექსტის პოვნა.

ასეთი სასიმღერო სტილი, ერთი შეხედვით, შეიძლება მოსაწყენი და ერთფეროვანი ჩანდეს. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან შესრულება, ფაქტობრივად, აერთიანებს მელოდიას, ტექსტს და მოქმედებას - მოძრაობას, სახის გამომეტყველებას, ჟესტებს და ა.შ.

ამჟამად სუიტებს შექმნილი აქვთ ეთნოგრაფიული ანსამბლები, რომლებიც გამოდიან კონცერტებზე, მონაწილეობენ ფესტივალებში და ხელმისაწვდომნი არიან ყველასთვის, ვისაც სურს, ამ ტრადიციებით გაამდიდროს საქორწილო ცერემონიები. სუიტების საქორწილო ცერემონიები ამ რეგიონის თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა.

სუიტის კულტურის კიდევ ერთი უნიკალური ელემენტია გუდასტვირზე დაკვრა, რომელიც ყველაზე დიდხანს ლატვიის ამ რეგიონმა შემოინახა.

ანსამბლი „ელესა“ აჭარიდან



სუიტები

სუიტის ეთნოგრაფიულ ანსამბლებს შორის ყველაზე პოპულარული და უძველესია ცოლების ანსამბლი „Suitu sievas“ („სუიტის ცოლები“), ალსუნგაში, რომელიც შეიქმნა 1955 წელს და რომელიც აქტიურად ინახავს და პოპულარიზებას უწევს სუიტის მუსიკალურ მემკვიდრეობას, როგორც ლატვიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მეტი ინფორმაცია სუიტის კულტურულ სივრცეზე:
<https://ich.unesco.org/en/USL/suiti-cultural-space-00314>
www.suitunovads.lv
www.suiti.lv

მარა როზენტალე

მუსიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაციების „სუიტის კულტურული მემკვიდრეობისა“ და „ეთნიკური კულტურული ცენტრი „სუიტი“-ს პროექტების კოორდინატორი, სუიტის ფოლკლორული ჯგუფების მომღერალი

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ ქედის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებობს. მისი მიზანია ტრადიციული აჭარული ხალხური სიმღერების მოძიება, აღდგენა და გაცოცხლება. ანსამბლის სახელწოდება გურულ-აჭარულ შრომის სიმღერა „ელესას“ უკავშირდება. დეტალურად ანსამბლის მიზნებსა და მუშაობის პრინციპებზე მის ხელმძღვანელს, ირაკლი სირაბიძეს გავესაუბრეთ:

ს.კ. - როდის ჩამოყალიბდა ანსამბლი „ელესა“?

ი.ს. - ანსამბლ „ელესას“ დამარსებელი და წლების განმავლობაში მისი ლოტბარი გახლდათ აწ განსვენებული ტარიელ მამალაძე. 2021 წელს ანსამბლს საიუბილეო 30 წელი შეუსრულდა, თუმცა უნდა ითქვას რომ ამ ანსამბლის ჩამოყალიბება ბევრად ადრე დაიწყო. 1987 წელს, ესტონეთში გასტროლის წინ, ტარიელ მამალაძემ ქედის კულტურის სახლის ქალვაჟთა შერეული გუნდისაგან გამოყო 8 მამაკაცი. ეს შემადგენლობა შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი „ელესას“ წინამორბედად. სახელი „ელესა“ ამ ჯგუფს მოგვიანებით, 1996-97 წლებში ეწოდა.

პირადად მე ანსამბლში 2003 წლიდან ვმღერი. თავდაპირველად ანსამბლის რიგითი წევრი გახლდით. 2007 წლიდან მოხდა კულტურის ცენტრის რეორგანიზაცია, რა დროსაც ცენტრის დირექციისაგან დამევალა ანსამბლის ხელმძღვანელობა. თავდაპირველად ლოტბარობაზე არც მიფიქრია და ანსამბლს მხოლოდ ტექნიკურ საკითხებში ვეხმარებოდი. მოგვიანებით გამიჩნდა სურვილი, რომ აჭარული ხალხური სიმღერები აღმედგინა. ამ პერიოდისათვის ანსამბლს, ტარიელ მამალაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერების საკმაოდ ვრცელი რეპერტუარი ჰქონდა. მაშინ ბატონმა ტარიელმა

მითხრა, რომ თუკი ჩემი სურვილი იქნებოდა, შემეძლო ანსამბლის ახალგაზრდულ შემადგენლობასთან ერთად აჭარული სიმღერები აღმედგინა. პირველად, „ელესას“ ახალგაზრდული შემადგენლობა, განახლებული რეპერტუარით, მსმენელის წინაშე ბათუმის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალზე 2008 წელს წარვსდექით. მაშინ სულ რაღაც ექვსი ახალგაზრდა ვიყავით. დღეისათვის ანსამბლის უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენენ.



ირაკლი სირაბიძე

ს.კ. - ვინ არიან ანსამბლის წევრები და რას საქმიანობენ?

ი.ს. - ანსამბლ „ელესას“ წევრები სხვადასხვა პროფესიისა და არიან: გვყავს იურისტი, უცხო ენების სპეციალისტი, ისტორიკოსი და ა.შ. ნაწილი სოფლის მეურნეობაშია აქტიურად ჩაბმული. მუსიკალური განათლება არცერთს არ გვაქვს. ანსამბლში ამჟამად 14 წევრია: მინდია ბერიძე, მამუკა სურმანიძე, რუსლან კონცელიძე, ბადრი თურმანიძე, ზაზა გოგიტიძე, ზვიად გორგაძე, რამაზ გორგილაძე, გიორგი ფარტენაძე, ირაკლი სირაბიძე, მურად შარაძე, ნოდარ გორგაძე, როსტომ ბერიძე, ნოდარ კახიძე, გიგა თურმანიძე.

ს.კ. - რას მოიცავს ანსამბლის რეპერტუარი და რა წყაროებიდან სწავლობთ სიმღერებს?

ი.ს. - ჩვენი ანსამბლის რეპერტუარის 80 პროცენტი ძველი ჩანაწერებიდანაა შესწავლილი. რამდენიმე სიმღერა, რომელთა აუდიოჩანაწერებიც არ არსებობდა, სანოტო ვარიანტებიდან გავაცოცხლეთ. ეს გახლდათ ძველი და საინტერესო ვარიანტები ზემოაჭარული სიმღერებისა. ზოგადად უნდა ითქვას, რომ აჭარული სიმღერების აუდიოჩანაწერები ჩვენ გვაქვს 1930-იანი წლებიდან: შალვა მშველიძის, თამარ მამალაძის, ვლადიმერ ახოზაძის, აგრეთვე ზოგიერთი უცნობი ჩამწერისაგან. ძველი აჭარული სიმღერები შესწავლილი გვაქვს აგრეთვე აჭარის რადიოს არქივიდან. ეს ის ძველი ჩანაწერებია, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ და უკვე სამი აუდიოალბომიც გამოვეცით. განსაკუთრებით მინდა გამოვეყო მესამე ალბომი ანსამბლ „მოყვარესთან“ ერთად, რომელიც სასწავლო დანიშნულებისაა და რომელშიც, სხვა სიმღერებთან ერთად, 1969 წელს პიტერ გოლდის მიერ ჩაწერილი ნიმუშებიცაა შესული.

ბუნებრივია, აჭარული სიმღერების გარდა, რეპერტუარში გვაქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის 70-მდე სიმღერა - იმერული, მეგრული, გურული, კახური, სვანური... ეს სიმღერები სხვადასხვა დროს ანსამბლში დაამუშავა „ელესას“ დამაარსებელმა და ლოტბარმა, ტარიელ მამალაძემ. გვაქვს, აგრეთვე, ქალაქური სიმღერის რამდენიმე ნიმუშიც.

ს.კ. - როგორია სიმღერებზე მუშაობის პროცესი?

ი.ს. - აჭარული სიმღერების აღდგენის საწყის ეტაპზე ჩვენ გვეხმარებოდა აწ განსვენებული, ანსამბლ „იაგუნდის“ ხელმძღვანელი ქეთევან ნაგერვაძე. შემდგომ უკვე დამოუკიდებლად დავიწყეთ ჩანაწერებიდან სიმღერების შესწავლა. თავდაპირველად ძველ ჩანაწერებს ანსამბლის თითოეულ წევრს დამოუკიდებლად ვაძლევდით. დამოუკიდებლად მოსმენის შემდეგ კი უკვე ერთად ვიკრიბებოდით და ვარჩევდით ახალ სიმღერებს. ძველი ჩანაწერის

მოსმენისას, უკვე ხვდები, თუ რომელი ხმა ვინ უნდა შეასრულოს. როდესაც კარგად იცნობ საკუთარი ანსამბლის წევრების შესაძლებლობებს, ხმის ტემბრს და შესრულების მანერას, იცი ზოგადად ანსამბლის პოტენციალი, ეს უკვე ძნელი აღარ არის.



ანსამბლი „ელესა“

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად საკმაოდ ძნელად ისმინება ძველი ჩანაწერები. ამ შემთხვევაში სიმღერების გაშიფვრაში მეხმარებიან ანსამბლის წევრებიც. განსაკუთრებით მინდა გამოვყო მამუკა სურმანიძე, რომელიც რეგულარულად უსმენს ძველ ჩანაწერებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ აგრეთვე სიმღერების ტექსტებსაც. ვცდილობთ სიმღერებს ტექსტები არ შევუცვალოთ და იმ ტექსტებით შევასრულოთ, რომლებიც ძველ ჩანაწერებშია.

ს.კ. - რამდენად თავისუფალი ხართ საშემსრულებლო მანერის კუთხით?

ი.ს. - მინდა გითხრათ, რომ ანსამბლის თითოეული წევრის ყოველდღიურობა აჭარული ყოფის ნაწილია – „ჩვეულებრივი“ ბიჭები არიან. მათ აქვთ ყოველდღიური ურთიერთობა სოფელთან, გლეხებთან... შეიძლება ითქვას, რომ ისინი სრულფასოვნად წარმოადგენენ თავიანთ კუთხეს. აქედან გამომდინარე, მათთან საშემსრულებლო მანერაზე სპეციალური მუშაობა არ გვჭირდება. „ელესას“ წევრების საშემსრულებლო მანერა თავისუფალი და ბუნებრივია. მეც, შემსრულებ-

ბლობის კუთხით, არ ვზღუდავ და მაქსიმალურ თავისუფლებას ვაძლევ მათ. თუკი ესა თუ ის სიმღერა იმპროვიზაციის შესაძლებლობას იძლევა, ამასაც არ ვერიდებით.

ს.კ. - რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა ანსამბლი?

ი.ს. - პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ანსამბლ „ელესას“ გამოცემული აქვს სამი აუდიოალბომი. მუნიციპალური ანსამბლის კვალობაზე, ვფიქრობთ, რომ ეს საკმაოდ დიდი მიღწევაა. ამას გარდა, მინდა მაღლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანისა თუ ორგანიზაციის მიმართ, ვინც დაინახა ჩვენი საქმიანობა და დაგვაფასა. ეს შეიძლება ითქვას საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროზე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრობის სამინისტროზე და ა.შ. მიღებული გვაქვს სახელმწიფო ჯილდოები ფოლკლორის დარგში: ვართ წინანდლის პრემიის ლაურეატები, ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის გამარჯვებულები (მესამე ადგილი), აგრეთვე ფონდ „ქართული გალობის“ მიერ გადმოგვეცა სპეციალური პრიზი აჭარაში ტრადიციული სიმღერის აღორძინებაში შეტანილი წვლილისთვის. ეს სამი ჯილდო მართლაც რომ გამორჩეულია ჩვენი ანსამბლისათვის.

ამას გარდა, რეგულარულად ვმონაწილეობთ სხვადასხვა ფესტივალებსა თუ კონცერტებში: ფესტივალ „არტ გენში“, ტრადიციული მრავალხმიანობის სიმპოზიუმებში, ბათუმის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალში... არაერთი კონცერტი გაგვიმართავს დედაქალაქსა თუ ბათუმში. მათგან გამოვყოფდი ჩვენი აუდიოალბომის პრეზენტაციას საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში. ამას გარდა, მიწვეული გახლდით მრავალ ქვეყანაში, მათ შორის – თურქეთში, უკრაინაში, ლატვიაში, პოლონეთში, ესტონეთში, კვიპროსში და ა.შ.

ს.კ. - რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

ი.ს. - სამწუხაროდ, პანდემიამ, როგორც მთელი მსოფლიო, ჩვენც შეგვაფერხა. ორი წელია, პრაქტიკულად, ახალი ვერაფერი შევთავაზეთ ჩვენს მსმენელს. გამონაკლისის სახით მინდა გავიხსენო „ლაივ კონცერტი“ ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის პროექტის, „ხალხური სადამოების“ ფარგლებში, რომელიც ქედის კულტურის ცენტრში გაიმართა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ვაპირებთ აჭარის რადიოს საარქივო მასალების შესწავლას. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ მასალების გამოცემაზე. ვიმედოვნებთ, რომ ამ პროექტის პრეზენტაციისათვის შევძლებთ რამდენიმე ახალი აჭარული სიმღერა შევთავაზოთ ჩვენს მსმენელს, ხოლო შემდეგ უკვე მეოთხე ალბომის გამოცემაზეც ვიფიქროთ.

ს.კ. - წარმატებებს გისურვებთ!


*ინტერვიუ ჩაიწერა
სოფიკო კოტრიკაძემ*

ერთი ახალი გამოცემა

**ზაქარია ფალიაშვილი
„ქართული საგალობლები.
იოანე ოქროპირის წირვის წესი“**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, მნიშვნელოვანი გამოცემა მიუძღვნა დიდი ქართველი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს. ეს გახლავთ მეორე, გაფართოებული გამოცემა 1909 წლის სანოტო კრებულისა „ქართული (ქართლ-კახური კილო) საეკლესიო საგალობლები წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა ქალთა და ვაჟთა

გუნდისათვის, ხმაშეწყობილი ზაქარია ფალიაშვილის მიერ“.



წიგნის პირველი გამოცემა, 1909წ

საუკუნეზე მეტი გავიდა კომპოზიტორის მიერ გადამუშავებული იოანე ოქროპირის წირვის წესის საგალობლების პირველი გამოცემის შემდეგ. ფალიაშვილისეულ ვერსიაში სამხმიანი ქართული გალობა ქალთა და ვაჟთა გუნდისთვისაა დამუშავებული. ამასთან, თავად კომპოზიტორი მიუთითებდა საგალობელთა სამხმიანობაში დაბრუნების შესაძლებლობაზე, რაც ახალ საგამომცემლო პროექტში განხორციელდა კიდევ.

„ქართული საგალობლების“ მეორე გამოცემაში შესულია საგალობლების დიდი შერეული გუნდისთვის განკუთვნილი ავტორისეული ვერსიები და მათი გასამხმიანებული ვარიანტები. ნოტებს წინ უძღვის ფალიაშვილის წინასიტყვაობა პირველი გამოცემიდან და ახალი, კვლევითი შინაარსის წერილები ქართულ და ინგლისურ ენებზე. დანართში წარმოდგენილია საგალობელთა ტექსტების ინგლისური თარგმანი.

გამოცემას თან ახლავს აუდიო დისკი შერჩეული საგალობლების ჩანაწერებით კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდის, ანსამბლი „ანჩისხატისა“ და ქაშვეთის ტაძრის მგალობელთა გუნდის შესრულებით.



წიგნის მეორე გამოცემა თანდართული აუდიოდისკით

გამოცემა მოამზადა სარედაქციო კოლეგიამ ნანა შარიქაძის, გიორგი კეკელიძის, დავით შულღიაშვილის (მუსიკალური რედაქტორი), მარინა ქავთარაძის (რედაქტორი), რუსუდან წურწუმიას (წინასიტყვაობის ავტორი), ქეთევან ბაქრაძის (პროექტის კოორდინატორი); მანანა ტაბიძის (ლიტ. რედაქტორი), ერიკ ჰალვორსონის (მთარგმნელი) შემადგენლობით. სანოტო ტექსტის ციფრული ვერსია ეკუთვნით ლევან ვეშაპიძეს და გიორგი ბაგრატიონს, გამოცემისა და დისკის დიზაინერია მაკა ცომაია.

აუდიოჩანაწერების ხმის რეჟისორები არიან პავლე კვაჭაძე და გიორგი გვარჯალაძე.

საგალობელთა სამხმიანი ვარიანტები ჩაწერილია „ლენო რეკორდსში“.

ახალი გამოცემის პრეზენტაცია შედგა 23 დეკემბერს, კონსერვატორის დიდ დარბაზში, ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 150 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, რომელიც გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალის, „საახალწლო მუსიკალური შეხვედრების“ ფარგლებში.

საღამოზე პირველად შესრულდა ზ. ფალიაშვილის მესა. აღსანიშნავია, რომ ამ ჟანრის აღნიშნული ნიმუში პირველი და ერთადერთია ქართულ პროფესიულ მუსიკაში და ზ. ფალიაშვილის მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთობლივი

ძალისხმევით წელს პირველად დაიბეჭდა. მესა შეასრულა კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდმა ლიანა ჭონიშვილის ხელმძღვანელობითა და დირიჟორობით. სოლისტები: ნათია ივანიაშვილი (სოპრანო), ნინო ჩიქოვანი (მეცო სოპრანო), შოთა ქუტიძე (ტენორი), აკაკი გუგუშვილი (ბარიტონი). საორგანო პარტია: ლია ბაიდოშვილი.

შერჩეული საგალობლები „იოანე ოქროპირის წირვის წესიდან“ შეასრულეს ანსამბლმა „ანჩისხატმა“ და ქაშუეთის ტაძრის მგალობელთა გუნდმა.

დარბაზის ფოიეში წარმოდგენილი იყო ფოტო-გამოფენა - ზაქარია ფალიაშვილი 150.

დავით შულღიაშვილი
ეთნომუსიკოლოგი, მეორე გამოცემის
მუსიკალური რედაქტორი

ქართული გალობის მოამბეები

ძმები კარბელაშვილები

მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის კულტურული და პოლიტიკური ექსპანსიის ასპარეზად იყო ქცეული, მზარდი ურბანიზაციის, სოციალური აჯანყებისა და მათი, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირი ჩახშობის ფონზე, ძირძველი ქართული ხელოვნების ტრადიციული ფორმები დავიწყებას ეძლეოდა. მათ შორის ერთ-ერთი აღმოჩნდა ქართული საეკლესიო გალობა, მართლმადიდებლური ეკლესიის საღვთისმსახურო ტექსტების მრავალხმიანი გალობის პრაქტიკა. ამ საგალობლების ცოდნა ემყარებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამგალობლო სკოლებში მოღვაწე ოსტატ-მგალობელთა მრავალწლიან სწავლებას. მე-19 საუკუნის დასაწყისში, ჩვენი ქვეყნის ტოტალური რუსიფიკაციის პროცესში, ეს ტრ-

ადიციები დაირღვა, საუკუნის ბოლოსთვის კი, მხოლოდ რამდენიმე მომღერალმა ოჯახმა შეინარჩუნა ცოდნა მთელი კალენდარული წლის გალობის რთული სისტემის შესახებ. მათ შორის იყვნენ ძმები კარბელაშვილები.

კარბელაშვილები საქართველოში ყველაზე ცნობილი მგალობელთა ოჯახია, რომელმაც მრავალხმიანი გალობის ზეპირი ტრადიცია მუსიკალურ ნოტაციაში გადაიტანა მე-19 საუკუნის ბოლოს. მათ მიერ დაცული აღმოსავლეთ საქართველოს გალობის სისტემა პირდაპირ კავშირშია ბერების მიერ სვეტიცხოვლის ტაძარში შემონახულ სამგალობლო ტრადიციებთან, სადაც მე-18 საუკუნის შუა ხანებში გალობას სწავლობდა მათი წინაპარი, პეტრე კარბელა (1754-1848).



ძმები კარბელაშვილები და მათი მეგობრები (1885)

პეტრეს შთამომავლებიდან, გრიგოლს (1812-1880) ხუთი ვაჟი ჰყავდა, რომლებსაც შეასწავლა საგალობლების მამისეული რეპერტუარი. ტრადიციული გალობის პოპულარიზების კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლიექვტოსისა და ვასილის საჯარო აქტიურობა ეკლესიის დამოუკიდებლობისა და გალობის გავრცელების საკითხებში, რაც კარგად ჩანს მათ მრავალრიცხოვან გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ წერილებში, ისტორიულ ტრაქტატებსა და სანოტო კრებულებში. დანარჩენ სამ ძმასთან - ფილიმო-

ნთან, ანდრეასა და პეტრესთან, ასევე, მამის სხვა მოსწავლეებთან ერთად, მათ გადაარჩინეს აღმოსავლურ-ქართული გალობის რეპერტუარი, კერძოდ, - გამოქვეყნებული ცისკარი-მწუხრის (1898) და საღმრთო ლიტურგიის (1899) საგალობლები. 2005 წელს ანჩისხატის მგალობელთა გუნდმა ხელახლა გამოაქვეყნა ამ საგალობლების რჩეული ნიმუშები, რამაც, პირველად, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, მგალობელთა გუნდებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, თავისი რეპერტუარის განახლების საშუალება მისცა. კომუნიზმის ეპოქაში, სასულიერო მუსიკის პროპაგანდის აკრძალვის ხანაში, სახელმწიფო არქივებში ინახებოდა კარბელაშვილების მიერ გამოცემული მასალის ასობით გვერდი. მხოლოდ ბოლო წლებში გახდა შესაძლებელი მათი სრულად რედაქტირება და გამოცემა ქართული გალობის ანთოლოგიის პროექტის ფარგლებში.

კარბელაშვილების ოჯახის მიერ შემონახული მუსიკა ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებით უყვარს. ცნობილი გუნდების მიერ პოპულარიზებული სხვადასხვა არანჟირებები ლამის ეროვნულ ჰიმნებად იქცა. ასეთია, მაგალითად, ღვთისმშობლის საგალობელი „შენ ხარ ვენახი“. კარბელაშვილების არქივიდან ირკვევა, რომ არსებობდა ამ საგალობლის რამდენიმე ვარიანტი. ისინი ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა ცალკე გამოცემის სახით სახელწოდებით „შენ ხარ ვენახი“.

ყველა ქართულ საგალობელს აქვს ოსტატი მგალობლების მიერ შემონახული მთავარი მელოდიური ხაზი, რომელსაც ასრულებს ზედა ხმა. განხვავებები სხვადასხვა სამგალობლო სკოლის სტილებს შორის ყველაზე შესამჩნევია ამ მელოდიური ხაზების სამხმიან ჰარმონიზაციაში (ქვედა ორი ხმის დამატებით), და, ასევე, თითოეული სკოლის მგალობელთა მიერ გამოყენებული გამშვენების პრაქტიკაში.



ღვთისმშობლის საგალობელი “შენ ხარ ვენახი”,
 ვასილ კარბელაშვილის გამოცემა “მწუხრი”, 1898

კარბელაშვილების წყაროებში შემონახულ აღმოსავლურ-ქართულ საგალობლებში მელოდია ჰარმონიზირებულია მარტივი ბანით, რომელიც მნიშვნელოვან მომენტებში მასთან კვინტის ან ოქტავის ინტერვალს ქმნის. ფრაზები შუა კადანსებში თითქმის ყოველთვის კვინტაზე სრულდება, ხოლო დამაბოლოებელ კადანსში - უნისონში. ბანის პარტია იშვიათადაა გამშვენებული, რაც, შესაძლოა, მიუთითებდეს კავშირზე გაბმული ბანის გაბატონებასთან აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ მრავალხმიანობაში. ამავდროულად, შუა ხმა შეიძლება იყოს უჩვეულოდ გამშვენებული, ბევრად უფრო მეტად, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სამგალობლო სტილში. თავისი ძირითადი ფორმით, შუა ხმა მელოდიას მიყვება პარალელური ტერციით დაბლა. მაგრამ, განსაკუთრებით, ვასილ კარბელაშვილის წყაროებში, ჩვენ ვხვდებით ამ ძირითადი პარალელიზმის გამშვენების მცდელობას ზედა და ქვედა მეზობელი ბგერებით, რაც უფრო რთული აკორდული სტრუქტურების გამოყენების საშუალებას იძლევა.

საბჭოთა პერიოდში კარბელაშვილების ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. 1924 წელს ძმები ანდრია და პეტრე სახელმწიფო ჩინოვნიკებმა დახოცეს მხოლოდ იმის გამო, რომ ანაფორა ეცვათ, ვასილის ორი ვაჟი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გა-

ხდა. 2011 წლის 20 დეკემბერს საქართველოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, საეკლესიო ხელოვნებისთვის გაწეული „უანგარო და სამაგალითო ღვაწლისათვის“ გრიგოლ კარბელაშვილის ხუთივე ვაჟი მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანად იქნენ შერაცხული. მათი ხსენების დღე 6 სექტემბერს აღინიშნება.

ჯ.ა. გრემი

ვილოსოფიის დოქტორი,
 დამოუკიდებელი მკვლევარი

ეთნოგრაფიული მასალები

აჭარული ცეკვები

1958-1960 წლებში ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა აჭარის რაიონებში მოაწყო მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიციები, რომლებშიც მოხდა 150-მდე სიმღერის (ვარიანტებითურთ) და 20-მდე საცეკვაო ჰანგის ჩაწერა.

საცეკვაო მუსიკის ჩაწერასთან ერთად, აუცილებელი გახდა ხალხური ცეკვების - „ხორუმის“ („ხურონი“), „განდახვეული ხორუმის“, „ჩამორებული“, „განდაგანას“, ლაზური მასობრივი ცეკვის („ლაზეფეშ ოხორონუ“), აგრეთვე, ძველი საწესჩვეულებო ხასიათის ცეკვითაშობების „ოჰოი ნანო“-სა და „ფადიკოს“ („ფათიკო“) აღწერა.

როგორც ცნობილია, „ხორუმი“ და „განდაგანა“ უკვე კარგა ხანია ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში კლასიკურ ცეკვებად დამკვიდრდა. ამიტომ, საკითხის უშუალო განხილვამდე, მოკლედ შევეხოთ აჭარული ხალხური ცეკვების თავისებურებებს. აჭარულ ცეკვებში გვაქვს საბრძოლო, სატრფიალო, სახასიათო, შრომისა და სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ცეკვები, რომლებიც საკრავების (დოლი, ჭიბონი და სხვ.) ან სიმღერის თანხლებით სრულდება; გვხვდება ასევე უძ-

ველესი საწესრველებო დანიშნულების ცეკვა-თამაშობანი.



ცეკვა „ხორუმი“

„ხორუმი“, რომელიც თითქმის ყველა რაიონში სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება, გადადის „გადახვეულ ხორუმში“ (უმთავრესად ქობულეთის, ბათუმისა და ქედის რაიონებში), ხოლო ეს უკანასკნელი - „ჩამორებულში“, რომელიც „დავლურის“ მსგავსი ცეკვაა და უმთავრესად ერთი ან ორი კაცის მიერ სრულდება. აქ ჩვენ გვაქვს მტერთან ბრძოლისა და ბოლოს გამარჯვება-ზეიმის ქორეოგრაფიული გამომსახველობის ფრიად საინტერესო თანმიმდევრული გადმოცემა.

დღევანდელი „განდაგანა“ ანუ „განდაგან“, ჩვენი აზრით, სხვადასხვა დანიშნულების და ხასიათის უძველესი ცეკვების ნაერთია, რომელმაც დღეს საუკეთესო კლასიკური ჩამოყალიბებული ფორმა მიიღო. მას ამჟამად იცნობენ ჩვენი ქვეყნის გარეთაც. „განდაგანას“ პირველი ნაწილი ზეიმზე, ქორწილში, შრომის პროცესში, ქალ-ვაჟის ან მხოლოდ ქალთა (რთვის ნადზე) შესასრულებული ცეკვა იყო, რომელიც ხშირად მხოლოდ სიმღერით სრულდებოდა („ნანი და ნანო“ „ხერტლის ნადი“ და ამ რიგის სხვა სიმღერა) და უმთავრესად ლირიკულ-სატრფიალო ხასიათს ატარებდა. იგი წყვილთა ცეკვაა და ამ ნიშნით „ქართულს“ წააგავს. „განდაგანას“ მეორე, აჩქარებული ნაწილი, ერთი მხრივ,

უაღრესად ტემპერამენტიანი, ვაჟკაცური ხასიათის თამაშია („მხარული“) და იგი ამ მხრივ შეიძლება შედარებულ იქნას, მაგალითად, „მთიულურთან“, მაგრამ „განდაგანას“ ამ ნაწილში გვაქვს სხვა ელემენტებიც, კერძოდ, სახასიათო თამაში, რომელიც საშემსრულებლო ხერხების მიხედვით, ტანის მიხვრამოხვრით, სახის მიმიკითა და სახუმარო ხასიათით, განსხვავდება ამ ცეკვის წინა ნაწილისაგან. „განდაგანას“ აჩქარებულ ნაწილს მხოლოდ მამაკაცი ასრულებდა. ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ ნაწილში ქალის შესრულება, რადგან ვფიქრობთ, რომ ეს ქართულ ცეკვებში ქალისათვის დაკისრებულ ფუნქციას არ შეესაბამება.

„განდაგანა“ აჭარის წყლის ხეობის რაიონებში (ხულო, შუახევი, ქედა) შესრულების მიხედვით მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ხშირად შემსრულებლის ხელოვნებაზეა დამოკიდებული. მას ზოგან „მხარულს“ ეძახიან, რადგან მხრების თუ მკლავების განსაკუთრებულ რიტმულ მოძრაობასთან გვაქვს საქმე, ზოგან კიდევ გვხვდება სხვა სახელწოდებებით. „განდაგანასათვის“ დამახასიათებელია გვერდზე სვლა და ილეთების ცალი ფეხით (უმეტესად მარჯვენათი) შესრულების მანერა, რითაც იგი გამოირჩევა დანარჩენი ქართული ცეკვებისაგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პროცესში მეორე ფეხი უმოქმედოა. მოთამაშის ტანი ცეკვის დროს მეორე ფეხს ეყრდნობა და ადგილგადანაცვლება წინ და უკან, ან წრის გაკეთება ძირითადად მეორე, „არააქტიურ“ ფეხზეა დამოკიდებული. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ „განდაგანას“ კომპლექსში შესულია უძველესი, უაღრესად რთული ცეკვების კომპონენტები, რომელთაგან ზოგიერთი ელემენტის შესრულების ფორმა, ძველი წარმართული დროის, საკულტო დანიშნულების, რიტუალური ხასიათის ცეკვა-თამაშის დაღსაც ატარებს და მასში ნაყოფიერების კულტისადმი პატივისცემის ანარეკლი ჩანს, რითაც ამ

ცეკვის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის კიდევ უფრო იზრდება.

რაც შეეხება „ფადიკოს“ (ფათიკო) ის საწესჩვეულებო დანიშნულებისაა და წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ, „ბერიკაობის“ მსგავსი უძველესი სანახაობის ერთ-ერთ სახეს, რომელიც დიონისესა და დემეტრას კულტთან დაკავშირებულ თამაშობებს წააგავს.

საინტერესოა ხულოს რაიონში შემონახული მასობრივი ცეკვა „ოჰოი ნანო“, რომელიც ანალოგს პოულობს ლაზურში, სადაც ცეკვის ხელმძღვანელი რეფრენად „ოჰოი“-ს ნაცვლად „ვაჰაჰაი“-ს ხმარობს, ხოლო მოცეკვავეთა გუნდი „ნანო“-თი უპასუხებს. „ოჰოი ნანოც“ და „ვაჰაჰაი ნანოც“, შესრულების მიხედვით, უთუოდ განსხვავდება, მაგრამ კარგად დაკვირვების შედეგად, ვნახავთ, რომ ორივე ერთი ცეკვის ნაირსახეობაა და მათში შრომის პროცესია გადმოცემული. ამაზე ჭანური მისამღერებელი მასალაც მეტყველებს. ლაზურ ცეკვაში ჯერ ხელმძღვანელი იტყვის და შემდეგ მას იმეორებს გუნდი ასეთი თანმიმდევრობით: „ვაჰაჰაი ნანო“, - „ვაჰაჰაი აშო მოხტით“ (აქ მოდით), „ვაჰაჰაი დინგიშ კელე (საცეხველასაკენ), „ვაჰაჰაი მანი-მანი“ (ჩქარა-ჩქარა) და ა. შ. „დინგი“ ჭანურში საცეხველის ხის ნაწილს ნიშნავს, რომლითაც მარცვლეული იცეხვება. ცეკვის დროს ამ სიტყვების ასეთი თანმიმდევრობით წარმოთქმა-განმეორება ხელმძღვანელისა და გუნდის მიერ, შრომის პროცესის ცეკვით გამოსახვის უძველესი ფორმა უნდა იყოს: „მოდით საცეხველისაკენ, ჩქარა ჩქარა“ და სხვ. იგივე ხდება აჭარულ „ოჰოი ნანოში“, სადაც ხელმძღვანელს მოთამაშეები ჯოხის ცემითა და შემახილებით მიჰყავს დანიშნულების ადგილზე. ამ ცეკვებში შეიძლება სხვა დანაშორელებიც მოიძებნოს, ისევე, როგორც აჭარულ და ლაზურ ხორუმებში, სადაც ამ ცეკვების საბრძოლო ხასიათის გვერდით შეინიშნება ნაყოფიერების ღვთაების კულტთან დაკავშირებული რიტუალის ანა-

რეკლი. იგივე შეიძლება ითქვას ლაზურ ცეკვაზე „ლაზეფემ ოხორონუ“, რომელიც ხორუმს წააგავს, თუმცა, მასში, საბრძოლო ხასიათს გარდა, უნდა ჩანდეს მეთევზეთა და მენავეთა საქმიანობაც.



ცეკვა „განდაგანა“

აჭარულ ცეკვებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ტერმინები „სამა“ და „ხორუმი“. „სამა“ (აქედან ზმნის ფორმები: სამობს, ისამა, ისამებს) აჭარულ დიალექტში ცეკვის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია. მაგალითად: „ქორწილში სამა იყო“ ან „ხორუმი ისამა“, „განდაგანას სამობს“ და სხვ. როგორც ცნობილია, ადრე ქართულში „ცეკვის“ გვერდით „სამაც“ ხშირად იხმარებოდა და იგი ამჟამად აჭარულ დიალექტში კარგადაა დაცული. სულხან-საბა ორბელიანი, „როკვას“ ასე განმარტავს: „სამა, ცეკვა, და მისთანანი“. აჭარული მასალის ნიადაგზე კიდევ უფრო საინტერესოა „სამას“ დაკავშირება ცნობილ ცეკვა „სამაიასთან“.

რაც შეეხება ტერმინ „ხორუმს“, ამ სახით ეს სახელწოდება XX საუკუნის 30-იან წლებში შემოვიდა ხმარებაში. მანამდე აჭარაში იხმარებოდა „ხორონი“. მასალის შეკრებისას ყურადღება იქნა გამახვილებული ჭანურში გავრცელებულ „ოხორონზე“, რომელიც აქ ერთ რომელიმე ცეკვას კი არ გულისხმობს, არამედ, ზოგადად, ცეკვას ნიშნავს, ისე როგორც „სამა“ აჭარულ დიალექტში. აქ ჩვენ არ შევხებით ამ ტერმინის ძირის „ხორ“ წარმომავლობას. თუმცა სვანური „ლახორ“, იგივე „ლალხორ“ (საკ-

რებულო), ჭანურ-მეგრული „ოხორი“, მეგრული „ხორგა“, აჭარული „ხორაგი“, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ერთობის გამომხატველი ტერმინები, ისევე, როგორც „ხორონი“ და „ხორ“ ფუძის მქონე სხვა მრავალი სახელი, რომლებიც უმეტესად ადამიანთა თუ საგანთა ჯგუფზე, კრებულზე, საერთოდ მასობრიობაზე მიუთითებს, ქართველურ ენებში უძველესი დროიდან ჩანს. რაც შეეხება ტერმინ „ხორონის“ უპირატესობას „ხორუმთან“ იგი მეგრულ-ჭანური სუფიქსით „ონ“-ით უნდა აიხსნას, რომელიც ქართული „იან“ სუფიქსს შეესაბამება.

ამრიგად, ზოგად-ქართულ ქორეოგრაფიულ კულტურაში, აჭარული ცეკვები მრავალფეროვნებითა და შინაარსით იმდენად საინტერესოა, რომ იგი ღირსია ღრმა შესწავლისა.

*დამუშავებულია მაკა ხარძიანის მიერ
წიგნიდან:*

ა. ინაიშვილი, ჯ. ნოლაიდელი, გრ. ჩხიკვაძე
*მასალები აჭარული მუსიკალური
ფოლკლორიდან. თბილისი, 1961*

ადმოსავლური საკრავები საქართველოში

XVI-XVII საუკუნეებში, საქართველოში მაჰმადიანთა ჩამოსახლების შედეგად, ჩვენში შემოვიდა და დამკვიდრდა აშუღური ტრადიცია, რამაც საფუძველი მისცა ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ე.წ. „ადმოსავლურ შტოს“ და ორიენტალური სტილის მონოდიური სიმღერის ტიპი დაამკვიდრა. ამის პარალელურად, ბუნებრივია, ინტენსიურად გავრცელდა არაქართული საკრავებიც. ადმოსავლური შტოს სიმღერებთან ერთად დიდი პოპულარობა მოიხვეჭა თარმა, საზმა, ქამანჩამ, ზურნამ, დუდუკმა, გარმონმა, არღანმა...

განსაკუთრებით პოპულარული იყო სპარსეთიდან შემოტანილი საზი, თარი, ქამანჩა, ზურნა და დუდუკი. ეს საკრავები საუკუნეების მანძილზე ღრმად დანერგილა საქართველოში, კერძოდ თბილისში, განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა მგოსან-აშუღთა შორის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ გარემოში, დროთა განმავლობაში, გარკვეული სახეცვლაც განუცდია.

საზი და თარი უძველესი ადმოსავლური ხალხური სიმებიანი საკრავებია. (მათ შესახებ იხ. ბიულეტენის #29 და #30).

ქამანჩა სპარსეთიდან შემოტანილი სამსიმიანი ხალხური სამუსიკო საკრავია. იგი ქართულ წერილობით წყაროებში მე-17 საუკუნიდან იხსენიება. თეიმურაზ I თავის თხზულებაში ქამანჩას ხელმწიფის სამეჯლისოსალხინო საკრავების მწყობრში მოიხსენიებს.

ქამანჩა გავრცელებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, ასევე, შუა და ახლო ადმოსავლეთის ქვეყნებში. ქამანჩა არსებობს ორ, სამ და ოთხ სიმიანი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გავრცელებული ოთხსიმიანი ქამანჩა კონსტრუირებულია ცნობილი მუსიკოსის - მეჭიანურე ალექსანდრე (საშა) ოჰანეზაშვილის მიერ. კორპუსი ქოქოსის კაკლის ფორმისაა,

დეკა - გველის ან თევზის ტყავის; ყელი - გრძელი ხის. ინსტრუმენტის ფეხი დაყრდნობილია შემსრულებლის მუხლზე ან იატაკზე. ქამანჩა გამოიყენება როგორც სოლო, ისე საანსამბლო და საორკესტრო შესრულებისას.



ქამანჩა

ზურნა, ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, XVII საუკუნიდან დღემდე ჩვენში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული აღმოსავლური საკრავთაგანია. საქართველოში უმთავრესად გარგრის ან კაკლის ხისგან ამზადებენ. ღეროს ზედა მხრიდან ამოჭრილია 7-8 თვალი, უკანა მხრიდან - ერთი. ღეროს განიერი ბოლო აქვს. ზურნის ცხრავე თვალს თავისი სახელი აქვს. ზურნა ყოფითი რიტუალების - ქორწილის, ნიშნობის და სახალხო დღესასწაულების - ჭიდაობის, ყეენობის, ბერიკაობის აუცილებელი მონაწილე იყო. მკვეთრი ტემბრის გამო ზურნას უმეტესად ღია ცის ქვეშ უკრავენ. იგი გავრცელებულია მთელ კავკასიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, აგრეთვე უზბეკეთში, ტაჯიკეთში და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში.

დუდუკს, ზურნისგან განსხვავებით ნაზი, რბილი ხმოვანება აქვს. მის სამშობლოდ არაბეთია მიჩნეული. დუდუკს ამზადებენ უმთავრესად ჭერმის, აგრეთვე თუთის და ბზის ხისგან. საკრავი შედგება ლულის, მილაკის, ხუფის და რეგულატორისაგან. ლულაზე ზემოდან ამოჭრილია რვა, ქვემოდან კი - ერთი თვალი. ლულაში ჩადგმულია ლელის ან ლელქამის ბრტყელი ორმაგი მილაკი. დუდუკის ბგერათრიგი დიატონურია. ეს საკრავი, ძირითადად, ქალაქურ ხალხურ მუსიკაში გამოი-

ყენება. დუდუკი, როგორც სოლო საკრავი, ხშირად ლხინის სუფრებზე ჟღერდა. ის დღეობების, თამაშობების, ქორწილების აუცილებელი თანმხლები იყო.

XVII საუკუნეში საქართველოში აღმოსავლეთიდან შემოვიდა ჩასაბერი საკრავების ანსამბლი, სახელწოდებით *დასტა*, რომლის შემადგენლობაში იყო ორი ზურნა ან ორი დუდუკი და ერთი დოლი. პირველი მეზურნე (ან მედუდუკე) - უსტა ანუ ოსტატი - ასრულებდა მელოდიას; მეორე მეზურნე (ან მედუდუკე) - დამქაში - მიჰყვებოდა მას გაბმული ბანით; მედოლე კი, დაკვრასთან ერთად, მღეროდა კიდევ. *დასტის* რეპერტუარი უმთავრესად საყოფაცხოვრებო, ლირიკულ-სატრფიალო, სალალობო, საცეკვაო მუსიკას მოიცავდა.

დასტა ყარაჩოხელებისა და ქართველი არისტოკრატების დროსტარების თანმხლები გახდა. მისი რეპერტუარი თბილისში განვითარდა და გამდიდრდა. *დასტამ* განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა XXს-ის 30-იან წლებში, როდესაც მომღერალმა ანა ვარდიანიშვილმა მედუდუკეთა ტრადიციულ დუეტს მესამე დუდუკი დაუმატა. ამიერიდან დუდუკზე დაიწყო სამხმიანი ქართული სიმღერების შესრულება და ეს საკრავი ერთგვარად „გაქართულდა“.



დუდუკი

თბილისში (და ყველგან, სადაც კი *დასტის* ტრადიცია გავრცელდა) ქორწილის დაწყება - „მეფის“ მოსვლა აუცილებლად ზურნის დაკვრით უნდა აღნიშნულიყო. ღამით,

ქორწილის დროს, ზურნას ადარ უკრავდნენ, მაგრამ დილით ზურნაზე „დილის საარი“ აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ზურნაზე საგანგებო ჰანგი „საქორწილო“ სრულდებოდა პატარძლის ოჯახში მზითვის გადატანის დროსაც. ქორწილში დასტის მონაწილეობა მოწმდება ჟ. შარდენის ცნობითაც.



ზურნა

დასტის აუცილებელი მონაწილეობა დასტურდება თბილისისა და შიდა ქართლის ზოგიერთ სოფელში (ცხინვალში, ლიახვის ხეობაში) ქორწილის მეორე დღეს „მეფისა“ და მისი მაცრიონის მსვლელობაში წინაპართა საფლავზე საგანგებო ჰანგის („სამგზავრო“) დაკვრით, რომლის ფონზე „მეფეს“ უნდა ეცეკვა. ზოგჯერ ჭიდაობაც იმართებოდა. ამ დროს საცეკვაო და საჭიდაო უნდა შესრულებულიყო. უკან დაბრუნებისას კი ისევ საცეკვაო იკვრებოდა.

დასტა გამოიყენებოდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებშიც. თბილისში იცოდნენ პანაშვიდზე „დამკვრელების“ - დასტის (უმეტესწილად მეზურნეების) მიწვევა. ამისათვის არსებობდა საგანგებო რეპერტუარი. ჟ. შარდენის ცნობით, „მკვდარზე რასაც იმღერებდნენ, იმას ქეიფში არ მღეროდნენ, იმას თავისი სიმღერა აქვს“. ცხედრის მიწად მიბარების შემდეგ სრულდებოდა საგანგებო სამგლოვიარო ჰანგი - მასრაფი.

ამგვარად, ქართულ სინამდვილეში, ქალაქური ფოლკლორის გავლენით, ზემოაღნი-

შნული აღმოსავლური საკრავები „გათბილისურდნენ“, რითაც დასცილდნენ თავიანთ პირველად ფორმას. ამასთან დაკავშირებით, პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი სრულიად სამართლიანად ამბობდა, რომ შეიძლება დუდუკი არაბულიც არის, მაგრამ ის დღეს ისე ძლიერადაა გადაკეთებული თბილისურად, რომ არაბულობისა აღარაფერი ემჩნევა... დღეს ამ თბილისურ დუდუკს ერთი არაბიც ვეღარ მიიჩნევს თავისად, ის მას უთუოდ ეუცხოებაო.

დამუშავებულია გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის საეკლესიო მუსიკის ბაკალავრის, ნინო რეხვიაშვილის მიერ

ერთი ტრადიციული რიტუალი

თანლილობის დღესასწაული სვანეთში

თანლილის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი ლატალის თემის სოფელ ლახუმდში მდებარეობს. ის X საუკუნისაა, მისი მოხატულობა კი - XIII საუკუნისა. თანლილობა, სვანურად - „ლითნალილ“ - წელიწადში ორჯერ აღინიშნება. გარდა ამისა, თანლილის მიქაელ მთავარანგელოზის, ანუ „თანლი მქემ თარინგზელის“ ტაძრის მოსალოცად დიდი სადღესასწაულო ციკლის ფარგლებშიც ასრულებდნენ რიტუალებს. ეთნოგრაფიული წყაროებით დასტურდება, რომ სვანეთში კვირის ყოველი დღე ამა თუ იმ წმინდანის სახელს უკავშირდება. ორშაბათი მთავარანგელოზი მიქაელის, ანუ „მქემ თარინგზელის“ დღეა. ცნობილი ქართველი ეთნოლოგის, ვერა ბარდაველიძის ცნობით, შობიდან ახალწლამდე კვირის ორშაბათს ქალები სწორედ თანლილის მთავარანგელოზის ეკლესიაში მიდიოდნენ და შვილიერებას შესთხოვდნენ წმინდანს.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, წელიწადში ორჯერ, საგანგებოდ აღინიშნებოდა ამ ტაძრის დღესასწაული. პირველად - ხორცის აღების მეორე კვირის ორშაბათს და მეორედ - კვირაცხოვლობის მეორე დღეს, „უფლიშის“ კვირის ორშაბათს.

„ლითნადილის“ წინა დღე პროდუქტის მოგროვებას ეთმობა. ლატალის თემი 9 სოფლისგან შედგება და თითოეულ სოფელს კონკრეტული ფუნქცია ეკისრება: „მაცხვარიშ“ ევალება ხორცის შეგროვება, „იფხს“ და „სიდიანარს“ - რახისა (პურის არაყი, რადგან ხილის არაყს არ იყენებენ სალოცავად). დანარჩენი სოფლები ფქვილს აგროვებენ. დღეობას მასპინძლობს ლახუშდი, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ სოფლის მოსახლეობა მონაწილეობს სამზადისში და ადავლენს ლოცვას. თემის დანარჩენი სოფლების მოვალეობა პროდუქტით მომარაგება და ტაძარში წასვლაა. თანლილობაზე სხვა თემებიდანაც ხშირად მოდიან მავედრებლები, უმთავრესად - უშვილო წყვილები.



თანლილის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის კანკელი

დღესასწაული რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:

სამზადისი მსხვერპლშეწირვით იწყება: ამზადებენ სამსხვერპლო ძღვენს - იკვლება საკლავი (აღსანიშნავია, რომ შესაწირ საქონელს ტაძრის შემოგარენში არ კლავენ), გულღვიძლს შამფურზე აგებენ და აკურთხებენ;

დაკეპილი ხორცი და მოზელილი ცომი გარიჟრაჟზე მიაქვთ თანლილის მთაზე მდებარე „მქემ თარინგზელის“ ტაძრის „ლადაშაში“ (გადახურული და ტაძარზე მიდგმული სამზადი), სადაც ქალები აცხობენ „ლემზირებს“ (ნალოც პურის კვერებს) და კუბდარებს სტუმრებისთვის.

ლოცვა მოიცავს ტაძარში მსახურებას, რომელსაც ასრულებენ მასპინძელი სოფლის უხუცესები და რომლის დროსაც ხდება შესაწირი ძღვენის - ზედაშე არყისა და „ლემზირების“, ანუ ნალოცი პურის კვერების - კურთხევა. მსახურთა განსაზღვრული რაოდენობა (სამი ან შვიდი) იკრიბება საკურთხევლის წინ და ადავლენს ლოცვას თითოეული კომლის სახელზე. აკურთხებენ „წმინდა ძღვენს“ (ზედაშე არყისა და „ლემზირების“ სახით), რომელსაც ეზიარებიან მომლოცველები. დღეობის თითოეულმა მონაწილემ, ვისი სახელითაც შეიწირება ძღვენი, უნდა იხმიოს მცირედენი ამ ძღვენისა. ტაძარში ღვთისმსახურების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ლოცვის ორი ტიპი: 1. ჯგუფური ლოცვა და 2. ჰიმნური გალობა. ჯგუფური ლოცვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მომლოცველების რაოდენობაზე, რადგანაც თემის თითოეული კომლი და სტუმარი ცდილობს, შეავდროს „თანლი თარინგზელს“ საკუთარი თავი და ოჯახი. ჯგუფურ ლოცვას პერიოდულად ენაცვლება სამი საგალობელი: 1. „ქრისტე აღდგა“ (სრულდება მხოლოდ გაზაფხულის თანლილობაზე), რომელიც ითქმის ქრისტიანული საადდგომო ტროპარის კანონიკური ტექსტით; 2. „წმიდაო ღმერთო“-ს სადღესასწაულო ვარიანტი და 3. „უფალო შეგვიწყალე“ — კანონიკური ქრისტიანული სავედრებელი ლოცვა (კვერექსი). მისი ჰანგი სადღესასწაულო „წმიდაო ღმერთოს“ ანალოგიურია.

მლოცველთა რიგის ამოწურვის შემდეგ მსახურები ტოვებენ ტაძარს, დგებიან გარეთ, ტაძრის შესასვლელთან, პირით საკურთხევლისაკენ და იწყებენ სიმღერას „დიადებ“. ამ

სიმღერას ქრისტიანულ წმინდანებთან და მათი სახელობის ტაძრებთან დაკავშირებულ სხვა სიმღერებთან ერთად („ჯგრაგ“, „რიჰო“, „ბარბალ დოლაშ“, „ელია ლრდე“ და სხვა), სვანები სიმღერა-საგალობელს უწოდებენ. ის „თანლი თარინგზელის“ სადიდებელსა და ლახუშდის სავედრებელს წარმოადგენს.

ლოცვის შემდეგ ტაძრის ეზოში იწყება **ფერხულების შესრულება**, რომლებშიც, ხალხთან ერთად, „ღვთისმსახურებიც“ მონაწილეობენ. ფერხულთა რაოდენობა შვიდია, აქედან პირველი სამი ფერხული სავალდებულოა, დანარჩენს კი სურვილისამებრ ირჩევენ.



მეფერხულები ტაძრის ეზოში

პირველი ფერხულია „ლაჟღვაშ“ (საწინამძღვრე). მას ფერხულთა თავს უწოდებენ; მეორე - „დიდება თაია“ (თაია-თარინგზელის შემოკლებული ფორმა) - მთავარანგელოზის სადიდებელია; მესამე - „ლაგუშედა“ (შეგვეწიოს); მეოთხე - „შიშა და გერგილ“ (სამონადირეო ფერხული); მეხუთე - „მურზაბეგ სი“ (ისტორიული შინაარსის ფერხული); მეექვსე - „ბაილ-ბეთქილ“ (სამონადირეო ფერხული); მეშვიდე - „იავ ქალთიდ“ (სახუმარო შინაარსის ფერხული). შინაარსობრივად „ლაჟღვაშთან“ განსაკუთრებით ახლოს დგას დანარჩენი

ორი სავალდებულო ფერხული „დიდება თაია“ და „ლაგუშედა“. ეთნომუსიკოლოგ ნანა მჟავანაძის აზრით, „ლაჟღვაში“ ერთგვარი კვინტესენციაა წრიული ტიპის ფერხულებისა და მისი ნიშან-თვისებები შეიძლება ტიპურად ჩაითვალოს სხვა მსგავსი ფერხულებისთვისაც. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ითვლება „ლაჟღვაში“ ფერხულთა თავად.

ხალხი რიტუალის საფერხულო ნაწილში აქტიურად მონაწილეობს. პირველი ექვსი სიმღერა-ფერხული სვანურენოვანია და მათ ტაძრის ეზოში აბამენ. ბოლო ფერხული, რომელიც, ფაქტობრივად, რიტუალის მეოთხე ნაწილში, ტრაპეზის ბოლოს სრულდება, ქართულ-სვანურია, უწმაწური ტექსტი აქვს და, ამიტომ მისი შესრულების წინ ქალები განზე გადიან, მამაკაცები კი ტაძრიდან მოშორებით აბამენ ფერხულს. ადგილობრივების თქმით, ეს სიმღერა გამრავლება-განაყოფიერების კულტთანაა დაკავშირებული და თანლილობაზეც სწორედ იმიტომ სრულდება, რომ თანლილის მთავარანგელოზი უშვილოთა მფარველია.

ტრაპეზი, ნადიმი რიტუალის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს. ტაძრის შემოგარენში (ეზოში) იშლება იმდენი სუფრა, რამდენი სოფელიცაა ლატალის თემში. ყველა სოფელმაცის, თუ სადაა მისთვის განკუთვნილი ადგილი. ტრადიციულად, სუფრის თამადაობა ევალეა „მაცხვარიშის“ წარმომადგენელს. ამის მიზეზი ისაა, რომ თანლილის ტაძრის მშენებლობისას პირველი ძღვენი ამ სოფელს შეუწირავს. ბოლოში სხდებიან მასპინძლები, ანუ ლახუშდელები. სწორედ მათ ევალეობათ მერიქიფეობა და სტუმრების პატივისცემა.

ტრაპეზს უძღვება თამადა და სადღეგრძელოების დადგენილ მიმდევრობას მკაცრად იცავს. სადღეგრძელოთა რიგი შემდეგნაირია: პირველი სადღეგრძელო ეძღვნება მაღალ ღმერთს, რომელსაც სვანები „ხოშა ღერმეთს“ უწოდებენ; მას მოსდევს მქემ თარინგზელის სადღეგრძელო, რომლითაც მთავარანგელოზს გამრავლებას შესთხოვენ და რომელსაც საგალო-

ბელს „ცხაუ ქრისდემ“ მოაყოლებენ; მესამე სადღეგრძელო აუცილებლად ჯგრაგს (წმ. გიორგის) ეძღვნება. ამ დროს ყველა მამაკაცს (ქუდოსანს) ლოცავენ და ავედრებენ წმ. გიორგის. სადღეგრძელოს აუცილებლად წმ. გიორგის სადიდებელს („ჯგრაგიშ“) მოაყოლებენ, რომელსაც ფეხზე წამომდგარი და ქუდმოხდილი მამაკაცები ასრულებენ დიდი მოწიწებით; მეოთხე სადღეგრძელოს ეწოდება „სარუაშ-საყან“ (მიტევება-შერიგება), რომელიც ვახტანგურად ისმება. მისი თავდაპირველი დანიშნულება უბრადად მყოფი ადამიანების შერიგება ყოფილა. ეს სადღეგრძელო სუფრის წევრებმა წყვილ-წყვილად უნდა შესვან. მასში მოიხსენიება მითოლოგიური გმირი კახანი, რომელსაც ჰაარაშის მთაში გველაშაპი მოუკლავს და ლატალისა და ლენჯერის მოსახლეობა გადაურჩენია.



ტრაპეზი ტაძრის ეზოში

სადღეგრძელოს პროცესში სუფრის მონაწილეები გასამხნეველ სიმღერებს ამზობენ „ნომ ჯაჟარხ მესყანიელა“ (არ მოიწყინოთ შერიგებულებო) და „ხაირილი“. ამით სრულდება სავალდებულო სადღეგრძელოების ციკლი და თამადას უფლება ეძლევა საკუთარი სურვილისამებრ გაუძღვეს სუფრას.

ძველად ამ ოთხი სადღეგრძელოს შემდეგ დასრულებულად ითვლებოდა სუფრა და იწყებოდა ბოლო სავალდებულო ფერხული „იავ ქალთიდ“.

ძველად, ზამთრის თანდილობის წინა დღეს, სოფლის თავში აშენებდნენ თოვლის კოშკს, რომელსაც თავზე ხის ჯვარი ედგა. ტრაპეზის შემდეგ სოფელ ლახუშდში დაბრუნებულ მლოცველებს გამოეყოფოდა ახალგაზრდების ჯგუფი ლატალის თემის ყველა სოფლიდან და იმართებოდა შეჯიბრი კოშკის დასაპყრობად. სოფელი, რომლის წარმომადგენელიც ამ კოშკის თავზე აღმართულ ჯვარს პირველი ჩამოხსნიდა, გამარჯვებულად ითვლებოდა. ხალხის რწმენით, გამარჯვებულ სოფელს ხვავიანი წელი ექნებოდა.

მადონა ჩამგელიანი
ეთნოლოგი,
სოფ. ლახუშდის მკვიდრი

გთავაზობთ „ლითნალილის“ დროს შესასრულებელ ერთ-ერთ სავალდებულო ფერხულს „დიდებათა“

დიდებათა

ნოტირებულია ლევან ვეშაბიძის მიერ

I გუნდი

ბა - თა-მა რი-ლი-გვა-მა შე - და ვო ომ დი ვო რე რა

ვო დი დი - დე-ი ბა - თა-მა რი-ლი-გვა-მა შე - და ვო ომ დი ვო რე რა

II გუნდი

ვო დი დი დე ბა - თა-მა რი-ლი-გვა-მა შე - და ვო ომ დი ვო რე რა

ვო დი დი დე ბა - თა-მა რი-ლი-გვა-მა შე - და ვო ომ დი ვო რე რა

I გუნდი

ვო დი ლა-ლ-ხ - რა-ლე-დ ლი-შე-დს გუ-შ-გვეა ვო ომ დი ვო რე რა ვო დი ლა-ლ -

ვო დი ლა-ლ-ხ - ი - რა-ლე-დ ლი-შე-დს გუ-შ-გვეა ვო ომ დი ვო რე რა ვო დი ლა-ლ -

II გუნდი

ხრა-ლე-დ ლი-შე-დს გუ-შ-გვეა ვო ომ დი ვო რე რა ომ დი ვო რე რა ო

ხრა-ლე-დ ლი-შე-დს გუ-შ-გვეა ვო ომ დი ვო რე რა ომ დი ვო რე რა ო

დიდება თაიარილიგვაიაშედა
 ლალხრალედ ლიშედს გუშგვეა
 ოქურაშ სამკაიარილიგვაიაშედა
 ხანარ ჯირდახ სგაშლაღგენა
 მუჭვარ ხაგანხ ჩიდ ვოქურაში
 გიცრალ ჯირდახ სგაშლაღგენა

რედაქტორი:

მაკა ხარძიანი

*ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ტმკსც-ის სპეციალისტი*

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარძიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2021

eISSN–1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,
გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2022 წლის ივნისში